თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

გოჩა მალანია

ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირში, ასოცირების ხელშეკრულება, EaP და საქართველოს გამოწვევები და მიღწევები

წარმოდგენილია მაგისტრანტის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0156, საქართველო

ივლისი 2019 წელი

ავტორი: გოჩა მალანია _____

საიდენტიფიკაციო ნომერი _____

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: ბიზნესი

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება

„ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **გოჩა მალანიას** მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირში, ასოცირების ხელშეკრულება, EaP და საქართველოს გამოწვევები და მიღწევები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის, ბიზნეს სკოლის, საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი_____

ხელმძღვანელი: ეთერ კაკულია ეკონომიკის დოქტორი_____

რეზიდენტი _____

ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

ნათია ვაჭარაზე _____

რეზიუმე

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაკტიკა ცხადყოფს, რომ დიდია მცირე ბიზნესის როლი ინოვაციურ საქმიანობაში. ეს განპირობებულია იმით რომ დღეს განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციების ნახევარს და რადიკალური ინოვაციების თითქმის 100%-ს ანხორციელებს მცირე ბიზნესი. გარდა ამისა, ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მცირე საწარმოებში საგრძნობლად მაღალია ვიდრე მსხვილში. ეს ჩანს იქიდან, რომ მცირე საწარმოებს განსხვავებით დიდსგან ახასიათებს ისეთ რისკზე წასვლა, რომლებიც წარმოიქმნება რადიკალური ინოვაციების რეალიზაციისას, რომელიც თავის თავში მოიცავს ტექნოლოგიურ გარღვევებს ამა თუ იმ სფეროში. დიდი საწარმოების უმრავლესობა თავის საინვესტიციო საქმიანობაში ორიენტირებულნი არიან არა რადიკალურ არამედ განვითარებულ ინოვაციებზე. მცირე ინოვაციური საწარმოები წარმოადგენს აუცილებელ წყაროს ცოდნის შექმნაში. მათი ინოვაციები და ტექნოლოგიები ხშირად შეისყიდება და კომერციალიზდება მსხვილი საწარმოების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების დონე სხვადასხვაა განვითარებულ ქვეყნებში იგი აღიარებულია, როგორც ეკონომიკაში ინოვაციების უპირობო ფაქტორი.

საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე გადაყვანა ნამდვილად შეუძლია მცირე და საშუალო ბიზნესს, განსაკუთრებით მცირე ბიზნესს, როგორც შინაგანად, თავისი თვისებებით ინოვაციურს. აქედან გამომდინარე ხელშეწყობა, ინოვაციური და უფრო პროდუქტიული მცირე ფორმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისთვის და ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ქვეყნის წინსვლასთან დაკავშირებული მიზნების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის აღიარებული. ამდენად საკვლევი თემა „ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირში, ასოცირების ხელშეკრულება, EaP და საქართველოს გამოწვევები და მიღწევები“ მეტად აქტუალურ პრობლემას ეძღვნება.

ნაშრომის პირველ ნაწილში გადმცოემულია ინოვაციური მცირე ბიზნესის არსი, მნიშვნელობა და კრიტერიუმები, გამოკვეთილია მცირე ინოვაციური ბიზნესის განმასხვავებელი თავისებურებები ბიზნესის სხვა ფორმებთან მიმართებაში ასევე მცირე ბიზნესის ინოვაციურობის მახასიათებელი ნიშნები. მოცემულია შექმნის მიზნების მიხედვით მცირე ინოვაციური კომპანიების (მიკ-ის) ტიპები; ამავე ნაწილში საუბარია ლისაბონის სტრატეგიაზე მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერის ევროპულ პოლიტიკაზე, განხილულია „მცირე საწარმოების ევროპული ქარტია“, როგორც მცირე ინოვაციურ ბიზნესზე მხარდამჭერ ღონისძიებათა კომპლექსი. საუბარია მცირე ბიზნესის უპირატესობაზე როგორიცაა: მცირე ბიზნესს აქვს უნარი უსწრაფესად დანერგოს ტექნიკური და კომერციული ინოვაციური იდეები; მცირე ბიზნესს შეაქვს შეუფასებელი წვლილი, ჯანსაღი (ბუნევრივი) კონკურენტული გარემოს ფორმირებაში; მაღალი მგრძნობელობა (რეაქცია) საბაზრო კონიუქტურის ცვლილებასთან ხდის მას მდგრადი და მანევრირებადს; მცირე ბიზნესი დიდი ოდენობით ასაქმებს სამუშაო ძალას. ე.ი. ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას და დასაქმების მაღალ დონეზე

უზრუნველყოფას. ასე რომ ეკონომიკაში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ერთ-ერთ ფინდამენტურ საფუძველს საშუალო კლასის ფორმირებაში.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეხება ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სრულყოფის საკითხებს, კერძოდ შესწავლილია „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“, მცირე ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის საჭირო ღონისძიებათა კომპლექსის 10 პრინციპი. იგი განხილულია როგორც ლისაბონის სტრატეგიის გაღრმავება და სრულყოფა ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის საქმეში. აქვეა გადმოცემული საინტერესო რიცხვითი მასალები ინოვაციური მცირე ბიზნესის მიღწევების შესახებ ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნების ეკონომიკაში.

ნაშრომის მესამე ნაწილი მთლიანად ეძღვნება „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა“ (EaP)-ის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ. ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში საქართველოს გამოწვევების და შედეგების შესწავლას. განხილულია საქართველოში გატარებული ღონისძიებები მცირე/ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერისა და საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის EaP-ს და ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში. ნაშრომის ამ ნაწილშია გადმოცემული გატარებული ღონისძიებების ზოგიერთი შედეგობრივი მაჩვენებლები. მოცემულია უცხოური ორგანიზაციების (GCI, EaP-ის პროგრამით მონიტორინგი „ქვეყნის დახასიათება მცირე ბიზნესის აქტის მიხედვით: საქართველო“, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი) მიერ შეფასებული ინოვაციური პოლიტიკის შედეგები საქართველოში. ბოლოს საკითხების შესწავლის საფუძველზე მოცემულია დასკვნა.

Resume

Experience and practice of developed countries of the world are demonstrating that the role of Small business is great in innovative activity. This is due to the fact that in today in the developed countries half of innovations and almost 100% of radical innovations are accomplished by Small businesses. In addition, the efficiency of the innovative process in small enterprises is significantly higher than in the large enterprises. This seems to be from there, that unlike the large enterprises, the small enterprises are going to such risk, which during realization of radical innovations includes the technological breakthroughs in some areas. Majority of large enterprises are oriented on their investment activities not radical but on developed innovations. Small innovative enterprises are the necessary source in creating of knowledge. Their innovations and technologies are often purchased and commercialized by the large enterprises. Although the innovative small business development level is different in developed countries it is recognized as an unconditional factor of innovation in the economy.

Small and medium businesses can really move Georgia to the innovative economy, especially small business, because it is innovative with its properties. Hence, promotion, development of innovative and more productive small forms for rapid growth and creating a favorable environment is recognized as one of the main priorities for the progress of country. Thus, the topic of research “Support Policy of Innovative Small Business in the EU, Association Agreement, EaP and Challenges and Achievements of Georgia " is dedicated to very actual problem.

In the first part of the thesis is presented the essence, importance and criteria of innovative small business, the distinctive features of the small innovative business are exposed to other forms of business as well as the characteristics of Small business innovation. According to the goals set are given types of Small Innovative Companies (SIC); The same section deals with the European policy of supporting Small and Medium-sized innovative businesses on the Lisbon Strategy and reviewed "European Charter of Small Enterprises", as a complex of supporting for small innovative business. This applies to Small business advantages such as: small business has the ability to implement instantly the technical and commercial innovative ideas; the Small business incorporates an invaluable contribution to the formation of a healthy (natural) competitive environment; High sensitivity to the changes of market conjuncture (reaction) makes it sustainable and maneuverable; Small business employs a large amount of work force. This contributes to the reduction of unemployment and the high level of employment, so Small business in economy is one of the fundamental foundations of middle class formation.

The second part of the thesis deals with the issues of improvement of innovative small business support, in particular the "Small Business Act for Europe", 10 Principles of the Complex Measures for Small Business Development and Support. It is considered as enhance and improving of the Lisbon Strategy in the field of innovative small business support. Here are

also given the interesting numerical materials about the innovative small business achievements in the economy of the European Union and other developed countries.

The third part of the thesis is dedicated to the “Eastern Partnership Program” (EaP) about Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), study of challenges and outcomes of Georgia in the context of the Association Agreement. The activities discussed in Georgia in the context of the EaP and Association Agreement for Small / Innovative Business Support and Innovation Infrastructure are given the results of innovative policy evaluated by foreign organizations (GCI, EaP program "Characterization of the country according to Small Business Act: Georgia", World Economic Forum). At the end of the study, the conclusion is given.

სარჩევი:

შესავალი

თავი 1. ლისაბონის სტრატეგია: ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ევროპაში და „მცირე საწარმოების ევროპული ქარტია“

1.1 ინოვაციური ბიზნესი: არსი და შეფასების კრიტერიუმები

1.2 „მცირე საწარმოების ევროპული ქარტია“, მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესისათვის

თავი 2. „ევროპის მცირე ბიზნესის აქტი“, როგორც ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სრულყოფა ევროკავშირში

2.1 „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“: მცირე ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის სრულყოფა ეკონომიკაში

2.2 ინოვაციური მცირე ბიზნესი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში

თავი 3. ევროკავშირთან ასოცირება: საქართველოს გამოწვევები და შედეგები (მიღწევები) ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებაში

3.1 საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარება მცირე ბიზნესისათვის ასორიცების ხელშეკრულების კონტექსტში

3.2 ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების არსებული მდგომარეობა (შედეგები) ინვოაციური მცირე ბიზნესის განვითარებაში

შესავალი

თემის აქტუალურობა. დღეს ევროკავშირის და სხვა განვითარებული ქვეყნების პრიორიტეტს ეკონომიკის განვითარების მიმართულებით წარმოადგენს ინოვაციები, ხოლო ეკონომიკის ინოვაციურობაში უპირატესობა ენიჭება მცირე/ინოვაციურ ბიზნესს. ეს განპირობებულია იმით რომ დღეს განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციების ნახევარს და რადიკალური ინოვაციების თითქმის 100%-ს ანხორციელებს მცირე ბიზნესი. გარდა ამისა, ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მცირე საწარმოებში საგრძნობლად მაღალია ვიდრე მსხვილში. ეს ჩანს იქიდან , რომ მცირე საწარმოებს განსხვავებით დიდისგან ახასიათებს ისეთ რისკზე წასვლა, რომლებიც წარმოიქმნება რადიკალური ინოვაციების რეალიზაციისას, რომელიც თავის თავში მოიცავს ტექნოლოგიურ გარღვევებს ამა თუ იმ სფეროში. შესაბამისად, იმისთვის რომ ინოვაციური პროდუქციით გავიდეს ბაზარზე და გახდეს რომელიმე სფეროში ნოვატორი, მცირე ინოვაციურ საწარმოებს უწევთ ამ რისკზე წასვლა. პირიქით დიდი საწარმოების უმრავლესობა თავის საინვესტიციო საქმიანობაში ორიენტირებულნი არიან არა რადიკალურ არამედ განვითარებულ ინოვაციებზე. ანუ დიდ საწარმოებს გააჩნიათ დიდი სამრეწველო პოტენციალი და არ არიან მზად გაწიონ რისკი რადიკალური ინოვაციების შესაქმნელად. მცირე ინოვაციური საწარმოები წარმოადგენს აუცილებელ წყაროს ცოდნის შექმნაში. მათი ინოვაციები და ტექნოლოგიები ხშირად შეისყიდება და კომერციალიზდება მსხვილი საწარმოების მიერ.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან და პრაკტიკიდან გამომდინარე ეკონომიკის ნორმალური განვითარების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნეს სექტორთა ოპტიმალური თანაფარდობა. აქ ამ ქვეყნებში მათ შორის სჭარბობს მცირე ბიზნესი მისი უპირატესობებიდან გამომდინარე. ეს უპირატესობებია: მცირე ბიზნესს აქვს უნარი უსწრაფესად დანერგოს ტექნიკური და კომერციული ინოვაციური იდეები; მცირე ბიზნესს შეაქვს შეუფასებელი წვლილი, ჯანსაღი (ბუნებრივი) კონკურენტული გარემოს ფორმირებაში; მაღალი მგრძნობელობა

(რეაქცია) საბაზრო კონიუქტურის ცვლილებასთან ხდის მას მდგრადს და მანევრირებადს; მცირე ბიზნესი დიდი ოდენობით ასაქმებს სამუშაო ძალს. ე.ი. იგი ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას და დასაქმების მაღალ დონეზე უზრუნველყოფას. ასე, რომ ეკონომიკაში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს საშუალო კლასის ფორმირებაში. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებშ ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების დონე სხვადასხვაა ამ ქვეყნებში იგი აღიარებულია, როგორც ეკონომიკაში ინოვაციების უპირობო ფაქტორი. აქ აქტიურად უჭერენ მხარს მცირე ბიზნესს, განსაკუთრებით კი ინოვაციურ მცირე ბიზნესს.

განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური მცირე ბიზნესს მხარს უჭერს როგორც სახელმწიფო ისე კრძო ინსტიტუტები ისეთ ლიბერალურ ქვეყნებშიც კი როგორიცაა აშშ. დიდია მცირე ინოვაციურ ბიზნესზე მხარდაჭერის მიმართულებით ევროკავშირის და სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. დღეს საქართველოში ამ გამოცდილების გაზიარების აუცილებლობას აღიარებასთან გვაქვს საქმე.

„აღმოსავლეთ პარტნორობის პროგრამამ“ (EaP), ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ,ასოცირების შესახებ შეთანხმება და 2016 წლის „ჰორიზონტი 2020 - კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა (2014-2020)“ - ში საქართველოს მონაწილეობის აღიარებამ რიგი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, მათ შორის ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით.

საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე გადაყვანა ნამდვილად შეუძლია მცირე და საშუალო საწარმოებს, განსაკუთრებით, მცირე ბიზნესს როგორც შინაგანად, თავისი თვისებებით ინოვაციურის. აქედან გამომდინარე მეწარმეობის ზრდის ხელშეწყობა, ინოვაციური და უფრო პროდუქტიული მცირე ფირმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ქვეყნის წინსვლასთან დაკავშირებული მიზნების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის აღიარებული.

ამდენად საკვლევი თემა „იმოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირში, ასოცირების ხელშეკრულება, EaP და საქართველოს გამოწვევები და მიღწევები“ მეტად აქტუალურ პრობლემას ეძღვნება.

კვლევის საგანი - ინოვაციური მცირე ბიზნესი. კვლევის მიზანი: ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ევროკავშირის ინოვაციური მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის და ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკის შესწავლა. **აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით (EaP) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და ასოცირების შესახებ შეთანხმებით მცირე ბიზნესის/ინოვაციური განვითარების მიმართულებით ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელების მიზნით საქართველოში მთავრობის მიერ ჩატარებული** ქმედებების და მათ გამოწვეული შედეგების შესწავლა.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები: შესწავლილია ის ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტები, რომლითაც ხელმძღვანელობს ევროკავშირი და საქართველო ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. შესწავლილია:

- ✓ ინოვაციური მცირე ბიზნესი: არსი, შეფასების კრიტერიუმები;
- ✓ „მცირე საწარმოების ვროპული ქარტია“ მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესისთვის;
- ✓ „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“ მცირე ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის და საჭირო ღონისძიებათა კომპლექსი;
- ✓ ევროკავშირთან ასოცირება: საქართველოს გამწოვევები და შედეგები (მიღწევები) ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებაში:
- ✓ საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარება მცირე ბიზნესისათვის EaP-ს და ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში;
- ✓ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების არსებული მდგომარეობა (შედეგები) ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებაში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: გამოყენებულია ეკონომიკური ანალიზისა და სინთეზის, შედარებითი ანალიზის, განზოგადებისა და

აბსტრაქციის და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. ასევე, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია საკვლევი პრობლემის შესახებ შრომები; კანონები და მთავრობის დადგენილებები.

კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს: ევროკავშირის; მსოფლიო ბანკის; ევროკავშირის სამიტების, დირექტორატების; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის; საქართველოს სხვადასხვა სამინისტროების; პარლამენტის; პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული და სხვა მასალები.

ევროკავშირში ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკის და საქართველოში ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში ინოვაციური ბიზნესგარემოს ფორმირების შესწავლა ყურადღებას იპყრობს, როგორც თეორიული, ასევე პრაკტიკული თვალსაზრისით. ჯერ ერთი, გამოცდილების შესწავლა სისტემატიზირება, საინტერესო იქნება როგორც ქვეყნის ინოვაციური მცირე ბიზნესის პრობლემის შესწავლით დაკავებული მკვლევართათვის, ასევე პრაკტიკოსი ბიზნესმენებისათვის; მეორე, ნაშრომი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი კურსის შესწავლისა, როგორიცაა „ბიზნეს მენეჯმენტი“. საკვლევი თემის გარშემო გამოკვეთილი ამოცანების გადასაჭრელად შესწავლილ საკუთხების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია წინადადებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებას.

საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ __ გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, ექვსი პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

თავი 1. ლისაბონის სტრატეგია: ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ევროპაში და „მცირე საწარმოების ევროპული ქარტია“

1.1ინოვაციური მცირე ბიზნესი: არსი და შეფასების კრიტერიუმები

საბაზრო ეკონომიკის მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაკტიკა ცხადყოფს, რომ დიდია მცირე ბიზნესის როლი ონოვაციურ საქმიანობაში და მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების დონე სხვადასხვაა ამ ქვეყნებში იგი აღიარებულია, როგორც ეკონომიკაში ინოვაციების უპირობო ფაქტორი. მასზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60-70%. აქ აქტიურად უჭერენ მხარს მცირე ბიზნესს, რადგან მასზეა დამოკიდებული ასევე მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა და ხარისხი. სანამ ევროპაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ძირითად მასალებს გავეცნობით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევჩერდეთ ინოვაციური მცირე ბიზნესის არსზე, იმ თვისებებზე რომელიც განასხვავებს მას სხვა ბიზნეს ფორმებისაგან, რითაც არის იგი ინოვაციური ბუნების მატარებელი.

მსოფლიო გამოცდილებიდან და პრაკტიკიდან გამომდინარე ეკონომიკის ნორმალური განვითარების ძირითად მახასიათებლად აღიარებულია მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნეს სექტორთა ოპტიმალური თანაფარდობა. მათ შორის სჭარბობს მცირე ბიზნესი მისი უპირატესობებიდან გამომდინარე. სახელმწიფო დანახარჯები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად ეფექტიანია, რადგან მცირე ბიზნესის მეშვეობით ხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარება, საქონლითა და მომსახურებით ბაზრის სწრაფი გაჯერება, მასზე მოდის ეკონომიკაში ინოვაციების მეტი წილი. მცირე ბიზნესს აქვს უნარი უსწრაფესად დანერგოს ტექნიკური და კომერციული ინოვაციური იდეები.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის ფუნქციონირების დაკვირვებამ აჩვენა, ბიზნესის **სხვა ფორმებთან მიმართებაში, მისი რიგი უპირატესობები:**

1. მცირე ბიზნესს შეაქვს შეუფასებელი წვლილი, ჯანსაღი (ბუნებრივი) კონკურენტული გარემოს ფორმირებაში. მცირე ბიზნესი თავისი ბუნებით ანტიმონოპოლიურია, გარდა ამისა მუდმივი ბალანსირებული კონკურენციის პირობებით მცირე ბიზნესი მუდმივად ინოვაციურია, ამით არღვევს მსხვილი და საშუალო ბიზნესის მონოპოლიზმს ეკონომიკაში;
2. მაღალი მგრძნობელობა (რეაქცია) საბაზრო კონიუქტურის ცვლილებასთან ხდის მას მდგრადს და მანევრირებადს. მცირე ბიზნესის ეს უპირატესობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაშინ როცა სამომხმარებლო მოთხოვნების ინდივიდუალიზაციასთან, დიფერენციაციასთან და საქონლისა და მომსახურების აქტიურ ზრდასთან გვაქვს საქმე;
3. მცირე ბიზნესს აქვს უნარი უსწრაფესად დაინერგოს ტექნიკური და კომერციული ინოვაციური იდეები. მცირე ბიზნესის სექტორის ყველა მონაწილე მოღვაწეობს კეთილსინდისიერი კონკურენციით, საკუთარი რისკის საფასურად, მოგების მიღების მიზნით. სწორედ მონაწილეთა ასეთი სახით შეჯიბრება (კონკურენცია), მათ ანიჭებს გზამკვლევის როლს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში. მაგალითად აშშ-ს მცირე ბიზნესში იქმნება მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავების და ინოვაციების 50%-ზე მეტი;
4. მცირე ბიზნესი დიდი ოდენობით ასაქმებს სამუშაო ძალას. ე.ი. იგი ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას და დასაქმების მაღალ დონეზე უზრუნველყოფას. ასე, რომ ეკონომიკაში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს საშუალო კლასის ფორმირებაში;

მოკლედ შეიძლება ჩამოყალიბდეს მცირე (მცირე ინოვაციური) ბიზნესის უპირატესობები:

1. მონოპოლიის შესუსტებაზე გავლენის უნარი;
2. საქონლისა და მომსახურების ბაზრის სწრაფი გაჯერება;
3. დანახარჯების ამოსყიდვადობა და შედეგების ოპერატიულობა;

4. სამეურნეო სუბიექტების დამოუკიდებელი ინიციატივების მობილიზაციის უნარი;
5. ძირითადად მცირე სასაქონლო წარმოება;
6. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალი ადაპტაციურობის თვისება;
7. ინოვაციების აქტიური განმახორციელებელი;
8. დამატებითი სამუშაო ადგილების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შექმნა;
9. საფუძველია ქვეყანაში საშუალო ფენის ფორმირების.

აქ ჩამოთვლილი უპირატესობანი ნათლად გვიჩვენებს მცირე ბიზნესის აუცილებლობას ეკონომიკაში, არა მარტო ეკონომიკური სამეურნეო საქმიანობის გავნითარებისათვის, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფორმირებისათვის.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, მცირე მეწარმეობა (ბიზნესი) წარმოადგენს შედარებით ეფექტიანს და დინამიურად განვითარებად სექტორს. ისინი ხშირად ეწევიან საქმიანობას მეცნიერულ-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო შედეგების დანერგვებში. მსხვილი საწარმოები ფლობენ უპირობო უპირატესობას, ეკონომიკის რიგ დარგებსა და საქმიანობის რიგ სფეროებში მსხვილი ინოვაციების განხორციელებისათვის, საჭირო ფინანსების, მატერიალური და შრომითი რესურსების მოზდივაში. ამავდროულად ეკონომიკის მთელ რიგ სფეროში უფრო შედეგიანი და ოპტიმალურია საქმიანობის ორგანიზაციის მცირე ფორმები. კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკაში ინოვაციები წარმოუდგენელია, პრაკტიკულად შეუძლებელია მცირე ბიზნესის გარეშე, რადგან ისინი, როგორც პრაკტიკამ აჩვენა, წარმოადგენენ ძირითად ელემენტს და წარმმართველ ძალას ეკონომიკის ინოვაციებში. ერთის მხრივ მცირე ბიზნესი ისეთი ინსტიტუციონალური სტრუქტურის ხარისხში გამოდის, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად ეკონომიკური სისტემის დინამიზმს და წინსვლას. აქვს უნარი სწრაფად განახორციელოს კვლევისა და შემუშავებების კომერიალიზაცია, ასევე შესწევს უნარი, საქმიანობის ყველა სფეროში

მიმდინარე ცვლილებების პირობებისადმი, ადაპტაციის. ამით არის განპირობებული მცირე ბიზნესის დიდი გავლენა ინოვაციის განვითარებაზე. მეორეს მხრივ, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების წყალობით, რომელიც ძირეულად ცვლის, ცაკლეული სტრუქტურის ფუნქციონირების მოდელს, მცირე საწარმოს უქმნის პირობებს უახლესი საქმიანობების შესახებ დროის მცირე შუალედში ინფორმაციის მიღების და ამით ხელს უწყობს მცირე მეწარმეობის ხვედრითი წილის გაზრდას საქონლისა და მომსახურების სმოფლიო ბაზარზე.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ინოვაციური სფეროს **მცირე ორგანიზაციებს** შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ვენჩერული ორგანიზაციები - მცირე ტექნოლოგიური ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ მაღალი რისკის შემცველ პროექტებს. მათი განვითარების კონცეფცია მდგომარეობს შემდეგი ციკლის განხორციელებაში: იდეა-ინოვაცია-ინვესტიციები, საცდელ-საკონსტრუქტორო ან მეცნიერულ-კვლევით სამუშაოებზე - ინოვაციური საცდელი პროდუქციის პარტიის წარმოება - ბაზრის ნიშის დაპყრობა - სწრაფად გადასვლა აქციების პურველადი გაყიდვების (IPO) ბაზარზე. ვენჩერული ტექნოლოგიური ბიზნესი წარმოადგენს ბაზას, ქვეყნის თანამედროვე გავნითარების პოსტინდუსტრიული და ცოდნის ეკონომიკის შექმნით.
- მცირე ინოვაციური ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ინოვაციური პროექტების რეალიზაციას ან ინოვაციური პროდუქციის გამოშვებას. თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში ინოვაციურად აქტიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-დან 80%-მდე. ინოვაციურ ეკონომიკებში ასეთი ორგანიზაციები მეტწილად ჭარმობს, რამე თუ თავისუფალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ მათ შესწევთ უნარი არსებობის, მათი კონკურენტული უპირატესობის ხარჯზე.

- ინოვაციური ორგანიზაციის ინვესტირებისს ტრატეგია - ინვესტიციების ძირითადი ნაწილის ჩადება, ისეთ პერსპექტიულ ინოვაციურ პროდუქტზე, რომელიც დაცულია დამცავი დოკუმენტით (საბუთით, პატენტი მოწმობა გამოგონებაზე). ინოვაციურ ორგანიზაციებში რისკის შემცირების მიზნით იქმნება საინვესტიციო პროექტების პორტფელი.

ევროკავშირში კი კომპანიები გამოყოფილია სპეციალურ კატეგირუად, რომელსაც ინოვაციურ მცირე საწარმოებს უწოდებენ. ისინი შედმეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

- ბოლო სამი საანგარიშო წლიდან კვლევისა და შემუშავებაზე გაწეული ერთ-ერთი წლის ხარჯებუ უნდა აღემატებოდეს ბრუნვის 15%;
- ევროკავშირის შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ (მისმა კომპეტენტურმა სააგენტომ) უნდა დაადასტუროს, რომ საწარმოს პროდუქცია და მუშაობის მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზარზე.

ამასთან ევროკავშირი ახალგაზრდად თვლის საწარმოს თუ კი მისი ასაკი დაფუძნებიდან 6 წელს არ აღემატება.

ეკონომიკას, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ინოვაციების გზით სიარული, გვერდს ვერ აუვლის მცირე ინოვაციურ საწარმოებს, რომლებიც არიან მეგზურნი (წინამძღვარნი) ეკონომიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და ინოვაციების. მთელი რიგი სიახლეები მიმართული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისაკენ, კერძო სექტორში ვითარდება მცირე ბიზნესის ხარჯზე: - იქნება ეს ბიოტექნოლოგია, პროგრამული უზრუნველყოფა თუ მეცნიერული ხელსაწყოთმშენებლობა.

მცირე ბიზნესის როლი ინოვაციებში მრავალმხრივია; ერთის მხრივ ის უზრუნველყოფს ინოვაციურ პროცესებს ეკონომიკაში, მართვისა და წარმოების გავნითარების შესაძლებლობით (უნარით). მეორეს მხრივ ჩართულია რა უშუალოდ მეცნიერებატებადი პროდუქციის (მომსახურების) შექმნაში, წარმოშობს მოთხოვნას ახალ ტექნოლოგიებზე და ცოდნაზე, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ პროგრესს.

ინოვაციურ სფეროში მცირე საწარმოების (ბიზნესის) უპირატესობა გამოიხატება ძირითადად შემდეგში:

1. მეწარმეობის მცირე ფორმაში უფრო მეტად იქმნება ხელსაყრელი პირობები შემოქმედებისათვის, რაც თავისთავად ინდივიდუალური ხასიათის მატარებელია;
2. შემოქმედებითი საქმიანობისათვის თავისი არსიდან გამომდინარე უცხოა ზედმეტი ორგანიზებულობა, იერარქიულობა, რაც დამახასიათებელია მსხვილი წრმოებისთვის, მცირე ბიზნესი კი გამორიცხავს. ამასთან მცირე ბიზნესის თავისებური სწრაფვა თავისუფლებისაკენ, წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს დასახული მიზნის მისაღწევად;
3. მცირე საწარმოებში, გამომგონებელი, მესაკუთრე და მენეჯერი ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ერთ პიროვნებას (საერთოდ საწარმოების ორგანიზაციული ფორმებიდან, მცირესთვის, ყველაზე მარტივი, ორგანიზაციის სწორხაზოვანი ფორმაა), რაც პრაკტიკულად გამორიცხვს კორპორაციული მმართველობისათვის დამახასიათებელ წინააღდეგობებს.
4. მცირე ინოვაციური საწარმოების სამეწარმეო საქმიანობა იმით განსხვავდება სხვებისგან, რომ მაღღვის დამახასიათებელია ვიწრო საგნოვრივი სპეციალიზაცია, რაც განაპირობებს ძალისხმევისა და სახსრების კონცენტრირებას სიახლის საბოლოო ფორმირების და მისი გავრცელების (დანერგვის, მასიური წარმოების) საწყოს ეტაპზე. ეს ნიშნავს, რომ ფაქტიურად საწარმო მეცნიერულ-სამეწარმეო საქმიანობას იწყებს უშუალოდ საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებით, რომლის მიზანია მაღალ ტექნოლოგიური წარმოების შექმნა და მისი სწრაფი გადაცემის უზრუნველყოფა მასიური წარმოებისათვის.
5. მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობაში დანახარჯები მცირე მაღალტექნოლოგიურ საწარმოებში არც ისე იშვიათია, მაგრამ ანალოგიური დანახარჯები მსხვილ საწარმოებში რამდენჯერმე მაღალია, რაც განაპირობებს მცირე საწარმოების სწრაფ და ეფექტიან გამოჩენას ინოვაციის ბაზრებზე.

6. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, ხელსაყრელ პირობებს უქმნის მცირე საწარმოებს წარმატებული ფუნქციონირებისათვის, რაც ადრე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მსხვილი საწარმოებისათვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსხვილი ბიზნესი თანამედროვე დროში აგრძელებს მნიშვნელოვან როლს ინოვაციების რეალიზაციაში, რომლებიც ითხოვენ მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს, მაგრამ მათი როლი ინოვაციების შექმნაში რამდენიმე ტრანსფორმირებულია დღეისათვის.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციების ნახევარს და რადიკალური ინოვაციების თითქმის 100%-ს ანხორციელებს მცირე ბიზნესი. გარდა ამისა, ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მცირე საწარმოებში საგრძნობლად მაღალია ვიდრე მსხვილში. ეს განპირობებულია იმით, რომ მცირე საწარმოებს განსხვავებით დიდისაგან ახასიათებს ისეთ რისკზე წასვლა, რომლებიც წარმოიქმნება რადიკალური ინოვაციების რეალიზაციისას, რომელიც თავის თავში მოიცავს ტექნოლოგიურ გარღვევებს ამა თუ იმ სფეროში. შესაბამისად, იმისთვის, რომ ინოვაციური პროდუქციით გავიდეს ბაზარზე და გახდეს რომელიმე სფეროში ნოვატორი, მცირე ინოვაციურ საწარმოებს უწევთ ამ რისკზე წასვლა. პირიქით დიდი საწარმოების უმრავლესობა თავის საინვესტიციო საქმიანობაში ორიენტირებულნი არიან არა რადიკალურ არამედ განვითარებულ ინოვაციებზე. ანუ დიდ საწარმოებს გააჩნიათ დიდი სამრეწველო პოტენციალი და არ არიან მზად გაწიონ რისკი რადიკალური ინოვაციების შესაქმნელად.

მაშასადამე რადიკალური ინოვაციების უმრავლესობას აწარმოებს მცირე ბიზნესი. მაგრამ ინოვაციებზე დაფუძნებული საქონლის სერიული წარმოება იწარმოება მსხვილი კორპორაციების კონცენტრაციის ხარჯზე.

მცირე ბიზნესის ეფექტიანობა ინოვაციურ პროცესებში განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: პირველ რიგში, მცირე ინოვაციური საწარმოები, როგორც წესი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან ისეთ სფეროებში, რომელსაც დიდი

საწარმოები არა პერსპექტიულად მიიჩნევენ მათი მაღალი რისკის შემცველობის გამო. მეორეს მხრივ, ვიწრო საგნობრივი სპეციალიზაცია განაპირობებს ძალებისა და რესურსების კონცენტრაციას კვლევის კონკრეტული მიმართულებით და ასევე ინოვაციური პროდუქტების შემდგომი შემუშავებისა და გავრცელებაში. მესამე, მცირე ინოვაციური ფირმების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინოვაციური პროცესების ერთიანობა კვლევიდან საბოლოო პროდუქციის შემუშავებამდე, მართვის რთული სტრუქტურების მქონე მსხვილი საწარმოებისაგან განსხვავებით, ერთიანდება ერთი ადამიანის ხელმძღვანელობის ქვეშ, რაც აჩქარებს ინოვაციური საქმიანობს პროცესს საბოლოო შედეგის მისაღებად.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში მცირე ინოვაციური ბიზნესი დაკავებულია ისეთი სამეცნიერო-კვლევით საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებით, რომლებიც არ ითხოვენ ფინანსური რესურსების მსხვილ დანახარჯებს და დასაქმებულთა დიდ რაოდენობას.

ეკონომიკის ინოვაციური სტრუქტურა, მოიცავს:

- ✓ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს, სამეცნიერო-კვლევით ინსისუტებს; უნივერსიტეტებს; საცდელ საკონსტრუქტორო ბიუროებს;
- ✓ მხარდამჭერ ინფრასტრუქტურას-მომახურება; კონსალტინგური კომპანიების; ვენჩერულ ფონდებს; მეცნიერულ-ტექნიკურ პარკებს; მეცნიერებაში და ტექნოლოგიებში სახელმწიფო დაწესებულებებს, კომიტეტების სახით;
- ✓ თვით ინვოაციური კომპანიების (კერძო ინოვაციური კომპანიები).

ინოვაციური კომპანიების ადგილი, სამეურნეო მექანიზმის სტრუქტურაში ხასიათდება იმით, რომ ისინი წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლს მეცნიერების სფეროსა და წარმოებას შორის: მეცნიერული სფეროსთვის მცირე ინოვაციური საწარმოები (კომპანიები) (მიკ) გამოდიან როგორც მომხმარებელი მეცნიერული პროდუქციის და საშუალება მეცნიერული შედეგების კომერციალიზაციის, წარმოების სფეროსთვი მიკ-ები გამოდიან, როგორც მათი სრულყოფის ერთ-ერთი წამყვანი წყარო

(ძირითადი წყარო), რომელიც უზრუნველყოფს წარმოების მოდერნიზაციას და მთელი საწარმოო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

შექმნის მიზნების მიხედვით შეიძლება გამოიყენოს მიკ-ის შემდეგი ტიპები:

- დამნერგავი კომპანიები. კომპანიები, რომლებიც შექმნილია მეცნიერული კვლევების შედეგების რეალიზაციისა და კომერციალიზაციის მიზნით;
- კომპანია „პიონერები“ - მცირე ფირმები, რომლებიც შექმნილია მსხვილი კომპანიების მიეც ახალი პროდუქციის ან ტექნოლოგიის აპრობირებისთვის;
- სტანდარტული ალიანსები: - კომპანიები მ.შ. კონტრაქტული, რომლებიც შექმნილია მსხვილი კორპორაციების მიერ მკსს-ს შედეგების ერთობლივი რეალიზაციის მიზნით;
- კვლევითი კომპანიები - კომპანიები, რომლებიც შექმნილია კორპორაციებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან და რომლებიც მუდმივად არიან დაკავებულნი სათაო კომპანიის პროფილის მიხედვით მეცნიერულ დამუშავებებით (კვლევებით);
- ვენჩერული კომპანიები: კომპანიები, რომლებიც შექმნილია ვენჩერული ფონდებით. ვენჩერული ფონდის კაპიტალის ეფექტური დაბანდების მიზნით, რომლის მოქმედების პრინციპები ითვალისწინებს კაპიტალის დაბანდებას რისკიან, მაღალმომგებიან, როგორც წესლი, მეცნიერებატევად პროექტებში.

მცირე ინოვაციური ფირმების საქმიანობის თავისებურებანი, იდენტიფიცირდება ორი მიმართულებით: მცირე საწარმოს სამეურნეო საქმიანობს თავისებურებები (ბიუროკრატიზმის არ არსებობა; სიახლეების აპრობაციის სისწრაფე, უნოვაციებისგან მაქსიმალური ეფექტის მიღებისათვის რესურსების ეკონომიკურობა.); ინოვაციური საქმიანობის თავისებურება.

ინოვაციური საქმიანობა ხასიათდება შედმეგი თავისებურებებით:

1. ნეგატიური შედეგების ალბათური ხასიათი, რისკი და დაშვებულობა; ათვისებაზე გაწეული დანახარჯები ამოისყიდება დროის მნიშვნელოვან პერიოდში, რაც

აუარესებს სამეურნეო სუბიექტის დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას. ამიტომ ინოვაციური საქმიანობა უყენებს გაზრდილ მოთხოვნებს ბიზნესის დაგეგვმას;

2. პროდუქციის უნიკალური თვისებების განუმეორებადობა, რომელიც დაცული უნდა იყოს შესაბამისი კანონმდებლობით;
3. პროდუქციის ღირებულების ახალი სახის: „უნიკალური ღირებულების“ არსებობა. იგი გამოდის როგორც დამატებითი მგოება, რითაც ჯილდოვდება ინოვაციური საქმიანობა. ინოვაციური პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება არა მის შექმნაზე გაწეული დანახარჯებით, არამედ იმ სიახლით< რომელსაც შეიცავს მოცემული პროდუქტი მისი შესაძლებლობით დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები, ხარისხობრივად ახალ დონეზე. ეს „უნიკალური ღირებულება“ საშუალებას აძლევს ნოვატორ კომპანიებს დაფაროს ხარჯები, რომლებიც მათ გაიღეს ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ამტკიცებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ეფექტიანად ითვისებს მოწინავე ტექნოლოგიებს და წარმატებით იყენებს ინოვაციების შესახებ ყოველგვარ ინფორმაციას. ბაზრი ხომ სიახლეებით იკვებება და ამიტომ ინოვაციური განვითარება არის მისი მდგრადი განვითარების საფუძველი. უცხოური ფირმები, დიდი რისკების და ხარჯების ზრდის მიუხედავად ახალი პროდუქციის წარმოებაზე ძალიან ფრთხილად გადადიან. მსხვილი ამერიკული ფირმების მიერ პროდუქციის განახლების ანალიზი აჩვენებს, რომ მისი ახალი სახეობების: 70% - მოდიფიკაციებია, 20% - მცირე ნოვაციები და მხოლოდ 10% - ახალი პროდუქცია, რომელსაც ადრე არავინ აწარმოებდა. [ე. კაკულია]

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ინოვაციების სექტორში, მთლიანად **მცირე და მსხვილი ბიზნესი არიან ღრმად ინტეგრირებულნი** ურთიერთშემვსებნი ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისას. მცირე ინოვაციურ ბიზნესსა და კორპორაციას შორის ურთიერთზემოქმედების ხარჯზე არა მხოლოდ ინოვაციის მოკლე დროში და მინიმალური დანახარჯებით შემუშავება-დანერგვის უზრუნველყოფა ხდება, არამედ

ამასთან ერთად ხორციელდება ახალი ბაზრების ფორმირება ან არსებულზე შეღწევის მასშტაბების გაფართოება. [ე. კაკულია]

გავნითარებულ ქვეყნებში, სამეცნიერო-კვლევით საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს-ის) სფეროში სახელმწიფოს და კერძო ინსტიტუტების ურთიერთობა წარმოადგენს ინოვაციურობის მექანიზმის მნიშვნელოვან თავისებურებას. აქ მცირე ფირმები იღებენ რისკის მნიშვნელოვან წილს, შედარებით ნაკლები დანახარჯების შესაძლებლობით. ფუნდამენტური კვლევების გვერდით მცირე ბიზნესს შეუძლია ინოვაციების განხორციელება, ხელი შეუწყოს მასიურ წარმოებას. მსხვილი საწარმოები კი ახდენენ რეალიზებას ხანგრძლივი ინოვაციური პროცესების შედეგების, ანხორციელებენ მასიურ წარმოებას ინოვაციური პროდუქტის ან ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. კავშირი სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, „მკსსს"-ის სფეროში წარმოადგენს მთავარ ხაზსს (მიმართულებას) ინოვაციურ მექანიზმში.

1.2 „მცირე საწარმოების ევროპული ქარტია", მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესისათვის.

ევროკავშირის საბჭოს 2000 წელს ლისაბონის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი სტრატეგიის მიღების შესახებ, რომელიც მეტი სამუშაო ადგილის შექმნისა და კეთილდღეობის ზრდის უმთავრეს მექანიზმად ევროპის ინოვაციური გზით გავნითარებას გულისხმობს. დაიწყო ევროპის საინოვაციო განვითარების ახალი ეტაპი, რომლის კონცეფცია და გეგმა ლისაბონის სტრატეგიის სახელითაა ცნობილი.

ლისაბონისს ტრატეგიის შემუშავება განაპირობა ზოგიერთი საინოვაციო კომპონენტშ ევროპის ჩამორჩენამ, აშშ და სხვა კონკურენტებთან შედარებით. მაგალითად, დღეისათვის მთლიანად ევროკავშირში სამეცნიერო კვლევებზე იხარჯება მშპ 2%, აშშ-ში - 2.65%, იაპონიში - 3.1% (თუმცა, ევროკავშირის ცალკეული ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, მაგალითად შვედეთში - 3.6%, ფინეთში - 3.2%).

ევროკავშრიში კერძო სექტორის ხარჯები კვლევაზე საერთო ხარჯების - 57% შეადგენენ, აშშ - 68.5%. ჩამორჩენა შეინიშნება აგრეთვე, მშპ-ში ვენჩერული კაპიტალის წილში, ახალი კომპანიების კაპიტალიზაციაში, ახლადშექმნილი მაღალტექნოლოგიური კომპანიების რაოდენობაში და ზოგიერთ სხვა ინდიკატორშ, რომელიც ამ სფეროში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას ასახავს.

ლისაბონის სტრატეგიით საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში, სახელმწიფო და საერთო ევროპული მართვის სისტემით ძირითად შემადგენელად იქცა. ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, კომერციული თუ სხვა სახის ინოვაცია - ცოდნის ახალი ფორმაა რომელიც კონკურენტუნარიანობის უმთავრეს ფაქტორადაა წარმოჩენილი. ახალ ცოდნაში შეიძლება ვიგულისხმოთ ახალი კონცეფცია, ახალი დამოკიდებულება[1]: ფუნდამენტურ თუ გამოყენებითი კვლევების და მისი შედეგების მიმართ, კერძო და სახელმწიფო ქონებასთან, შიდა და საერთაშორისო ურთიერთობაში და ა.შ.

რა თქმა უნდა, 2000 წელს ლისაბონის სტრატეგია ვერ შეიქმნებოდა, რომ არ ყოფილიყო ევროპაში 30 წლიანი, საერთოევროპულ და ეროვნულ პროგრამებზე საფუძნებული, საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ევროინტეგრაციის პოცესის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა. ამ პროგრამებში მცირე მაღალტექნოლოგიური კომპანიების როლი გათვიცნობიერებული იყო.

2000 წლის მარტში ლისაბონში ევროპის საბჭოს სხდომამ (ლისაბონის სამიტი) მიიღო რამდენიმე ფუძემდებელი დოკუმენტი, რომლითაც განაცხადა, რომ საინოვაციო პოლიტიკა ხდება ევროპის განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი. ევროპა ამჟამადაც ამ დოკუმენტებში დასახული მიზნებისკენ მოძრაობს, იმ შესწორებებისა და დაზუსტებების გათვალისწინებით, რომლებიც უფრო გვიან იქნა მიღებული. ეს დოკუმენტი, ცნობილია როგორც ლისაბონის სტრატეგია (აგრეთვე ლისაბონის დღის წესრიგი ან ლისაბონის პროცესი), წარმოადგენს ევროპისთვის

[1] ოლეგ შატბერაშვილი: მრავალდონიანი საინვესტიციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია. გვ 10-11

სამოქმედო განვითარების გეგმას. მისი მიზანი ჩამოყალიბდა ასე: „2010 წლისათვის ევროპა უნდა იქცეს მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიან, ცოდნაზე დაგუძნებულ ეკონომიკად, რომელსაც გააჩნია მდგრადი ეკონომიკური ზრდის უნარი, მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილით, გაძლიერებული სოციალური ერთობითა და გარემოსადმი მეტი ყურადღებით“.

ლისაბონის სტრატეგია „ევროპაში ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმის“ გაფართოებად და გაღრმავებად მიიჩნევა. ზემოაღნიშნული მიზანის მისაღწევად იგი გულისხმობს მოქმედებას ეკონომიკის, სოციალურ, გარემოსდაცვით და მდგრადი განვითარების სფეროებში და ეყრდნობა ისეთ ეკონომიკურ კონცეფციებს როგორიცაა:

1. ინოვაცია, როგორც ეკონომიკური ცვლილებების ამძრავი მექანიზმი;
2. ცოდნის ეკონომიკა;
3. სოციალური და საარსებო გარემოს განახლება.

სტრატეგია გულისხმობს, რომ უფრო ძლიერო ეკონომიკა, მასთან დაკავშირებულ სოციალურ და გარემოსდაცვით პოლიტიკებთან ერთად, გაზრდის დასაქმებას, რაც თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს.

ლისაბონის სტრატეგიის ძირითადი კომპონენტებია:

1. დასაქმება, ეკონომიკური რეფორმა და სოციალური თანხმობა;

1.1 საინფორმაციო საზოგადოება ყველასათვის;

1.2 კვლევისა და ინოვაციის ევროპული სივრცის დაფუძნება;

1.3 ინოვაციური ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო, დაწყებისა და განვითარების მეგობრული გარემოს შექმნა;

1.4 ეკონომიკური რეფორმები, მიმართული შიდა ბაზრის შექმნის დასრულებაზე და სრულად ამოქმედებაზე;

1.5 ეფექტიანი და გაერთიანებული საფინანსო ბაზრები;

1.6 მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება: საფინანსო-საანგარიშო კონსოლიდაცია, საჯაროფინანსების ხარისხი და მდგრადობა;

2. ევროპული სოციალური მოდელის მოდერნიზება ადამიანებში ინვესტირებისა და აქტიური კეთილდღეობის სახელმწიფოს აშენების გზით

2.1 განალება და გადამზადება ცოდნის ეკონომიკის პირობებში ცხოვრებისა და მუშაობისთვის;

2.2 **მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილი ევროპისთვის: დასაქმების აქტიური პოლიტიკის განვითარება;**

2.3 სოციალური დაცვის მოდერნიზაცია;

2.4 სოციალური ჩართულობის გაუმჯობესება.

ლისაბონის სტრატეგიის მიზნები დაისახა მომდევნო ათწლედისათვის, ანუ 2000-2010 წლებისთვის, ევროპის წინაშე მდგარი გლობალიზაციის, ცოდნით მართული ეკონომიკის მრავალრიცხოვანი გამოწვევებისა და ევროპის მოსალოდნელი გაფართოების კონტექსტში. გამოწვევებთან ერთად, ევროპას ეძლეოდა ახალი შანსი „აეგო ცოდნის ინფრასტრუქტურები, გაეძლიერებინა ინოვაცია და ეკონომიკური რეფორმა მოეხდინა სოციალური კეთილდღეობისა და განათლების სისტემების მოდერნიზება“.

ლისაბონის სტრატეგიამ ევროპის საინოვაციო განვითარების პრობლემის გადაწყვეტა ინოვაციური მსს მდგომარეობასთან და შესაძლებლობებთან, მათი პოტენციალის სრულ გამოყენებასთან დააკავშირა. მის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ინოვაციური ბიზნესი, განსაკუთრებით მცირე და საშუალოს, დაწყებისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

ლისაბონის სტრატეგიის მიღებისთანავე, 2000 წელს, ევროკავშირმა შეიმუშავა და დაამტკიცა **„მცირე საწარმოების ევროპული ქარტია”**, სადაც მოყვანილია მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ათი ძირითადი მიმართულება:

1. განათლება და გადამზადება მეწარმეობის სფეროში, ევროპა იზრუნებს სამეწარმეო სულის აღზრდასა და მართვის უნარ-ჩვევების სწავლებაზე დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე, სპეციალობის მიუხედავად და აგრეთვე, მცირე საწარმოების მენეჯერთა გადამზადებაზე;

2. საწარმოების უფრო იაფად და სწრაფად დაფუძნება, დაფუძნების ღირებულება მსოფლიოში ყველაზე იაფი უნდა გახდეს. წევრმა ქვეყნებმა, რომელთაც დაფუძNების პროცედურები ხანგრძლივი აქვთ, უნდა აიღონ სწორება მოკლეპროცედურიან ქვეყნებზე. უზრუნველყოფილ უნდა იქნას კომპანიების დისტანციური ელექტრონული რეგისტრაცია;
3. უკეთესი კანონმდებლობა და წესები, როგორც გაერთიანების, ასევე ქვეყნების დონეზე, უნდა გაკეთდეს კანონმდებლობის რევიზია, რათა მცირე ბიზნესისთვის გამარტივდეს წესები გაკოტრებისა და კონკურენციის სფეროებში. კანონმდებლობაში, როგორც ევროპულად, ასევე ეროვნულ დონეზე, სადაც კი შესაძლებელია, მცირე ბიზნესისთვის უნდა გაკეთდეს არსებული რეგულაციური ვალდებულებებისაგან გამანთავისუფლებელი გამონაკლისები;
4. კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობა, ევროკავშირი უნდა დარწმუნდეს, რომ გადამზადების ინსტიტუტები და სამუშაოდ მოუწყვეტლად სწავლების სქემები აწვდიან მცირე ბიზნესისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და უზრუნველყოფენ უწყვეტ განათლებასა და კონსულტირებას;
5. ელექტრონული წვდომის გაუმჯობესება, საჯარო ადმინისტრაცია გააძლიერებს ელექტრონულ ურთიერთობას მცირე ბიზნესთა. გადასახადების დაბრუნება, კონსულტაცია და ინფორმაციის მიღება ონ-ლაინ რეჟიმში უნდა გაიაფდეს და გაადვილდეს;
6. მეტი სარგებელი გაერთიანებული ბაზრისგან, მცირე ბიზნესმა უნდა იგრძნოს, რომ ბაზრის გაერთიანების დასრულება იმგვარად ხდება, რომ იგი მეგობრულ გარემოს ქმნის, პირველ რიგში ბიზნესისთვის კრიტიკულ სფეროებში, როგორიცაა ელექტრონული კომერცია, ტელეკომუნიკაცია, კომუნალური სფერი, სახელმწიფო შესყიდვები, საზღვარგარეთ ფულის გადახდა და ახალ ბაზარზე შეღწევა;
7. დაბეგვრა და საფინანსო საკითხები, საგადასახადო სისტემამ უნდა წაახალისოს წარმატება, ბიზნესის დაწყება, მცირე საწარმოს გაფართოება, პერსონალური

ეფექტიანობა. ფინანსების ხელმისაწვდომობა მცირე ბიზნესისთვის უნდა გაიზარდოს, რისთვისაც უნდა შემცირდეს ბარიერები პან-ევროპული კაპიტალის ბაზრისთვის, საფინანსო მომსახურების სამოქმედო გეგმისა და სარისკო კაპიტალის სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის. საბანკო სისტემასა და მცირე ბიზნესს შორის კრედიტებისა და სარისკო კაპიტალის მიწოდების პირობები უნდა შეიქმნას. სტრუქტურული ფონდებისა და ევროპული საინვესტიციო ბანკის ინიციატივების ხელმისაწვდომობა უნდა გაუმჯობესდეს დამწყებთათვის და მაღალტექნოლოგიური მცირე ბიზნესისათვის;

8. მცირე საწარმოების ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება, ევროკავშირი გააძლიერებს ტექნოლოგიების გავრცელებას მცირე საწარმოების მიმართულებით, აგრეთვე, მათ მიერ ტექნოლოგიების პოვნას, გადარჩევისა და ათვისების უნარის გაძლიერებაზე მიმართულ არსებულ პროგრამებს. გაძლიერდება ტექნოლოგიური კოოპერაცია და გაცვლა სხვადასხვა ზომის კომპანიებს შორის, კერძოდ, მცირე საწარმოებს შორის. შემუშავდება უფრო ეფექტიანი კვლევითი პროგრამები მიმართული ცოდნისა და ტექნოლოგიის კომერციულ გამოყენებაზე. მიღებული იქნება მცირე საწარმოებისთვის ხარისხისა და სერთიფიკაციის სისტემები. მნიშვნელოვანიაევროგაერთიანების პატენტის შემოღება და მისი მიღების გაადვილება. მხარდაჭერილი იქნება თანამშრომლობა მცირე საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს შორის. ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ღონისძიებები ხელს შეუწყობს ფირმათაშორის კლასტერებისა და ქსელების წარმოქმნას, პან-ევროპულ თანამშრომლობას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითები გამოვლენილი და გავრცელებული იქნება. ხელი შეეწყობა მცირე საწარმოების თანამშრომლობას, მიმართულს საერთოევროპულ და მესამე ქვეყნების ბაზრებზე გასვლაზე;

9. წარმატებული ელექტრონული ბიზნესის მოდელები და უმაღლესი კლასის მცირე ბიზნესის მხარდაჭერა, ევროკომისია და წევრი ქვეყნები იმოქმედებენ ერთობლივად

ისეთ საინფორმაციო და ბიზნესის ხელშემწყობი სისტემების, ქსელებისა და მომსახურების შესაქმნელად, რომელიც ადვილად გასაგები და მისაწვდომი და ამავე დროს, ბიზნესის მოთხოვნილების რელევანტურია. უზრუნველყოფილი იქნება ევროპის მასშტაბით რჩევისა და დახმარების წვდომა, რისთვისაც ვებ-საიტებიც იქნება გამოყენებული. მოქმედებას დაიწყებს მცირე და საშუალო წარმოების ობსერვატორია;

10. ევროკავშირისა და ეროვნულ დონეებზე მცირე საწარმოთა ინტერესების წარმოდგენის გაძლიერება და ეფექტურობის გაზრდა, ევროკომისია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად კოორდინაციას გაუწევს ევროპულ და ეროვნულ პოლიტიკებს, გამოიყენებს მრავალწლიან პროგრამა საწარმოებისა და მეწარმეობის თაობაზე და სხვა მექანიზმებს, მონიტორინგს გაუწევს პროცესს, ხოლო შედეგებს ევროკავშირის გაზაფხულის სამიტს მოახსენებენ.

2000 წლის მარტის ლისაბონის სამიტის გადაწყვეტილებები ცხადად ადასტურებენ, რომ საინოვაციო პოლიტიკა განმსაზღვრელი გახდა ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ისინი, აგრეთვე ყოველ პუნქტში ხაზს უსვამენ წევრი ქვეყნების ერთობლივ ქმედებების მნიშვნელობას. ლისაბონის სტრატეგია არ იმეორებს და არ გავს მანამდე არსებულ ფუნდამენტურ სამოქმედო პროგრამებს, როგორიცაა, მაგალითად ერთიანი ბაზარი ან ერთიანი ფულადი ერთეული. მისი მოქმედების სფეროს გაცილებით უფრო ფართოა, ხოლო მეთოდოლოგია - განსხვავებული.

თავი 2. „ევროპის მცირე ბიზნესის აქტი“, როგორც ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სრულყოფა ევროკავშირში

2.1 „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“: მცირე ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის სრულყოფა ეკონომიკაში

უკვე 2003 წელს ცხადი გახდა, რომ თვალსაჩინო მიღწევების მიუხედავად, ლისაბონის სტრატეგიაში 2010 წლისათვის დასახული ამბიციური მიზნების ნაწილი ვერ იქნება მიღწეული. საჭირო იყო გარკვეული მიმართულებით მუშაობის გაგრძელება და სრულყოფა. მსს მიმართებაში 2008 წელს მიღებულ „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტში“ აისახა.

მცირე ბიზნესის აქტში ჩამოყალიბებულია 10 პრინციპი ევროკომისიისა და ეროვნული მთავრობებისთვის, რომელიც მცირე საწარმოების ეროვნულ ქარტიას ეყრდნობა, მაგრამ ახალი ხედვის გათვალისწინებით. ეს იყო გადაწყვეტილება მცირე ბიზნესთან დაკავშირებული საინოვაციო სტრატეგიის წინა ფრონტზე გადაწევის შესახებ. აი ეს პრინციპები:

1. შეიქმნას გარემო, რომელშიც მეწარმეები და საოჯახო ბიზნესი მკვეთრ განვითარებას შეძლებს, ხოლო მეწარმეობა წარმატებული და მომგებიანი იქნება;
2. უზრუნველყოფილ იქნას ხელახალი დაწყების შანსი იმ პატიოსანი მეწარმეებისთვის, რომლებმაც გაკოტრება განიცადეს;
3. მსს-თვის შემუშავდეს წესები „ჯერ მცირეზე იფიქრე“ პრინციპის შესაბამისად;
4. მიღებულ იქნას ზომები, რათა საჯარო ადმინისტრაციები მსს საჭიროებების მიმართ მგრძნობიარენი გახადოთ;
5. საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტები მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებებს უნდა მიესადაგონ: უზრუნველყოფილ იქნას მსს მონაწილეობა საჯარო შესყიდვებში და მათ ინტერესებში უკეთ იქნას გამოყენებული სახელმწიფო დახმარება;
6. უზრუნველყოფილ იქნას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსების მისაწვდომობა და განვითარებულ იქნას სამართლებრივი და საქმიანი გარემო,

რომელიც კომერციული ოპერაციების პროცესში, მათთვის დროულად გადახდებს ურზუნველყოფს;

7. დახმარება აღმოეჩინოს მსს ერთიანი ბაზრისაგან მეტი სარგებლის მღებაში;
8. დახმარება გაეწიოს მსს ცოდნის ამაღლებასა და ყველა ფორმის ინოვაციაში;
9. საშუალება მიეცეთ მსს გარემოსდაცვითი გამწოვევები ბიზნეს შესაძლებლობად აქციონ;
10. შეიქმნას პირობები მსს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.

ზემოაღწერილი მცირე ბიზნესის აქტი საკანონმდებლო დოკუმენტი არაა. ეს არის სამოქმედო გეგმა. თითოეული პრინციპის რეალიზაციისთვის შედგენილია გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და მოთხოვნები ევროკომისიისა და უმთავრესად, ეროვნული მთავრობების მიმართ.

ზემოხსენებული პრინციპები ევროპაში ყველა დონის პოლიტიკის მკეთებლებისთვის მოქმედების საფუძველია. ამის შესაბამისად, ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ პროგრამებსა და გეგმებში აისახა მსს განვითარების საკითხები. ევროპულ დონეზე, პირველ რიგში, ესაა: კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა საინფორმაციო ტექნოლოგიების, განახლებადი ნერგიისა და ენერგოეფექტურობის სფეროებში (3.6 მილიარდი ევრო მსს-თვის 2007-2013 წლებში); კვლევისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო პროგრამა, რომელშიც 5 მლრდ ევრო მცირე საწარმოებში ვლევების დაფინანსებისთვის იყო გათვალისწინებული 2007-2013 წლებში; ევროპის რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში რეგიონული განვითარების ფონდის, სოციალური ფონდისა და ერთობის ფონდის, აგრეთვე ევროპული საინვესტიციო ფონდის პროექტები და ინიციატივები და სხვა. ამგვარად, ევროპული პროგრამების დონეზე მსს საინოვაციო საქმიანობისთვის (კვლევისთვის, საცდელი ნიმუშების შექმნისთვის და ა.შ.) ფართო შესაძლებლობები ეძლევათ, მცირე ბიზნესის აქტთან შესაბამისობაში. იაფონიასთან და აშშ-თან შედარებით სარისკო კაპიტალი დამწყები საინოვაციო ბიზნესის მხარდასაჭერად ევროპაში მცირეა (მის ყველა გამოვლინებაში -

ბიზნეს ანგელოზები, ვენჩერული კაპიტალი, აქციების ბაზარი). ევროპული საინვესტიციო ფონდის მთავარი ამოცანაა ამ ხარვეზის გამოსწრება. იგი აძლევს თანხებს არა ბიზნესს, არამედ საფინანსო ინსტიტუტებს, რათა მათი საინოვაციო პროექტებთან დაკავშირებული რისკები შეამციროს და სარისკო კაპიტალის ზრდა წაახალისოს.

მსს **არასაფინანსო დახმარების მიმართულებით** ევროპულ დონეზე აღსანიშნაცია ორი მსხვილი ქსელის მოქმედება (და უწყვეტი **განვითარება**) **ევროპული ბიზნესის ქსელი და ქსელი ევროპული საწამო** (Enterprice Europe Network). მათი საქიანობა მცირე ბიზნესს აქტის პრაკტიკულად ყველა პუნქტის შესრულებას უწყობს ხელს. ამავე დროს, ორივე ქსელი მსს მიმართ ეროვნული და რეგიონული ვალდებულებების შესრულებასაც ემსახურება, რადგანაც მათ ცენტრები ადგილებზე ემსახურებიან საწარმოებს.

ამრიგად ვხედავთ, რომ ევროკავშირში ლისბონისს ტრატეგიაში დეკლარირებული ინოვაციური მსს როლი და სტრატეგიის ჩარჩოები პრაკტიკულად ყოველწლიურად იზრდება, ხოლო მათთვის დახმარების აღმოჩენის ინსტრუმენტები ფართოვდება და იზრდება. ევროკავშირი, რომელიც პატიოსან კონკურენციას ყურადღებით ადევნებს თვალყურს და ამასთან დაკავშირებით კრძალავს საწარმოებისთვის ასიმეტრულ დახმარებას (გამონაკლისებს და სხვა), უშვებს ერთ ფუნდამენტურ გამონაკლისს ინოვაციური მმს- თვის საფინანსო და არასაფინანსო (მომსახურებით) დახმარების გაწევას. ამ აქტზე დაყრდნობით შემუშავებულია რიგი ღონისძიებებისა, რათა გატარდეს ეროვნული პოლიტიკები ინოვაციური მსს სფეროში. ჩვენ აქ შევჩერდებით ზოგიერთ არსებით მათგანზე.

ევროკომისიამ ამ დოკუმენტით ბიზნესისთვის კვლევაში, შემუშავებასა და ინოვაციაში სახელმწიფო დახმარების ევროპული ჩარჩოს შესახებ ეროვნული მთავრობებისთვის დაადგინა დახმარების ნაირსახეობები და საზღვრები, რომელიც პატიოსანი კონკურენციის ევრიპული და საერთაშორისო პრინციპების დარღვევას არ იწვევს. ეს სამუშაო კონკურენციის გენერალურმა დირექტორატმა შეასრულა. მასვე ევალება აღნიშნული პრინციპების დაცვის თვალყურის დევნება.

ამ აქტით დაშვებულია საწარმოებისთვის სახელმწიფო დახმარების გაწევის შედმეგი მიამრთულებები:

1. კვლევა და შემუშავება;
2. წინასაპროექტო კვლევა და ტექნიკური დავალების შედგენა;
3. მსს-თვის სამრეწველო ინტელექტუალური საკუთრების ხარჯების დაფარვა;
4. ახალგაზრდა მცირე ინოვაციური საწარმოების დახმარება;
5. მომსახურების სფეროში პროცესებისა და საორგანიზაციო ინოვაციის დახმარება;
6. ინოვაციის სფეროში საკონსულტაციო და სხვა მხარდამჭერი სამსახურებისთვის დახმარება;
7. დახმარების უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების თხოვნებისთვის (მოზიდვისთვის კვლევითი ორგანიზაციიდან ან მსხვილი საწარმოდან);
8. საინოვაციო კლასტერებისთვის დახმარება.

ჩამოთვლილთაგან ჩანს, რომ მიმართულებების ნაწილი მხოლოდ მსს-თვისაა განკუთვნილი. დანარჩენ მიმართულებებში მსს უპირატესობებით სარგებლობენ.

მაგალითად, მსს მხრიდან თანადაფინანსების ზღვრული წილი (30%) უფრო დაბალია, ვიდრე მსხვილი საწარმოებისთვის. დოკუმენტის მიღება არ ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანა იყენებს მასში აღწერილ ყველა შესაძლებლობას, თუმცა გამოყენება შეზღუდული არაა. შეიძლება გამოვიყენოთ სახელმწიფოს მხრიდან დახმარების საგადასახადო და არასაგადასახადო წახალისების მეთოდები.

არასაგადასახადო საფინანსო დახმარებების მაგალითები განვიხილოთ დახმარების ზოგიერთი მიმართულება:

- ახალგაზრდა მცირე ინოვაციური ბიზნესის წახალისება (ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის პუნქტი 4.) გულისხმობს, რომ ინოვაციური იდეის მფლობელმა, 6 წლამდე ასაკის საწარმომ, შეიძლება გრანტი 1 მილიონ ევრომდე (ჩამორჩენილ რეგიონებში 1.5 მლნ ევრომდე). გრანტი გაიცემა მხოლოდ

ერთხელ. იგი არ უშლის ხელს სხვა მიმართულებით გრანტების მიღებას და მათთან შეიძლება გაერთანდეს. ეს წესი არ ნიშნავს რომ წევრ ქვეყნებში ასეთი გრანტები აუცილებლად უნდა გაიცემოდეს; [თამაზ ვაშაკიძე];

- ახალი ტექნოლოგიების სფეროშ ინოვაციების წახალისების მიზნით, მთავრობები საწარმოებს პირდაპირ აფინანსებენ (სახელმწიფო დახმარების აქტით გათვალისწინებული წესების დაცვით). მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში მცირე საწარმომ შეიძლება მიიღოს ახალი პროდუქტის შემუშავებასთან დაკავშირებული გრანტი, რომელიც გასაწევი მთლიანი ხარჯების 50% და მეტს შეადგენს. გრანტების სიდიდე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, გარდა ამისა, ერთსა და იგივე ქვეყანაში სხვადასხვა გრანტის გამცემ ორგანიზაციებს შეიძლება განსხვავებული წესები გააჩნდეთ. პრაკტიკაშია უპროცენტო სესხებიც - მაგალითად, შვედეთში და სხვა;
- მსს გრანტები კვლევითი სამუშაოებისთვის შეიძლება გულისხმობდნენ საწარმოო კომანიების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო ორგანიზაციების თანამშრომლობის სტიმულირებას. ეს დამახასიათებელია, მაგალითად, მე-7 ჩარჩო პროგრამისათვის, რომელშიც სამივე ტიპის ორგანიზაციების გამაერთიანებელ კონსორციუმებს ეძლევათ უპირატესობა.

როგროც ზემოთ ავღნიშნეთ ევროპაში საკვანძო ამოცანაა დამწყები მსს-თვისა და ზოგადად, მსს საინოვაციო პროექტებისთვის, სარისკო კაპიტალის გაზრდა. მას ევროკომისია, ეროვნული და რეგიონული მთავრობები ერთობლივად წყვეტენ. სარისკო კაპიტალი სამი ტიპის დაფინანსებას მოიცავს: ბიზნეს-ანგელოზების მხირდან არაფორმალური ინვესტირების, ვენჩერული კაპიტალის და სწრაფად მზარდ კომპანიებზე ირიენტირებული აქციათა ბაზარი. სამივე საშუალების ზრდაზეა მიმართული ევროპული საინვესტიციო ფონდის (EIF) ღონისძიებები. ოგო სარისკო ინვესტორებთან ერთად თანადამფინანსებლის როლში გამოდის.

საგადასახადო შეღავათები (წახალისება) ეს შეღავათები მთლიანად ეროვნულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული

ზოგიერთ ქვეყანაში საწარმოო მოწყობილობის ამორტიზაციის დაჩქარებული სისტემაა შემუშავებული. მაგალითად, ბელგიაში ზოგიერთი ტიპის მსს შეუძლია ჩამოწეროს მოწყობილობები (გააცხადოს სრული ამორტიზაცია) შეძენის წელიწადში 21. დიდ ბიტანეთში დაშვებულია ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების მთლიანი ღირებულების 50% ჩამოწერა მათ ექსპლოატაციის პირველსავე წელიწადში. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აჩქარებულ ამორტიზაციას ევროპაში სულ რამდენიმე ქვეყანა იყენებს, რაც ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს. ბოლო დროს ევროკომისიაში იხილება არამატერიალური აქტივების (მაგალითად, კომპიუტერული პროგრამების მონაცემთა ბაზების და სხვა) ამორტიზაციის დადგენის საკითხი, რომელიც, ერთის მხრივ, ნაკლებად ცხადია, ხოლო მეორე მხრივ, საინფორმაციო საზოგადოების ხანაში, ძალიან მნიშვნელოვანია [თამაზ ვაშაკიძე]

პრაკტიკაშია კვლევითი საგადასახადო კრედიტის (შეღავათის) დაწესება ან გარკვეული დროით გადასახადისგან განთავისუფლება (Tax Holiday). [თამაზ ვაშაკიძე]

მაგალითად, საფრანგეთში, ახლად შექმნილი ინოვაციური მცირე საწარმოები სარგებლობენ ზემოთ ხზენებული Tax Holuday-ით ე.ი. გადასახადებისგან განთავისფულებით.

მსგავსი სქემები მოქმედებს ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, იტალიაში. კომპანიების მიერ კვლევაზე დახარჯული თანხის 100% შეიძლება აკლდებოდეს დასაბეგრი შემოსავლების ოდენობას. ნიდერლანდებში და ავსტრიაში ენერგეტიკის სფეროში მუმუშავე საწარმოების მიმართ.

მხარდაჭერის სხვა საქმეებიდან შეიძლება ავღნიშნოთ:

1. ინოვაციური პროექტების მიღებული მდგომარეობის გადასახადისაგან რამდენიმე წლით განთავისუფლება;

2. ინოვაციური კომპანიების აქციებიდან ფიზიკური და იურიდიული პრიების მიერ მიღებული დივიდენდების შეღავათიანი დაბეგვრა;
3. საწარმოს მიერ დაკვეთილი ან უნივერსიტეტთან (კვლევით ორგანიზაციასთან) ერთობლივი კველვის შედეგის გამოყენებით მიღებულ მოგებაზე გადასახადის განაკვეთის შემცირება;
4. ინტელექტუალური საკუთრების ცნებით განსაზღვრული არამატერიალური აქტივების: პატენტების, ლიცენზიების, ნოუ-ჰაუს და ა.შ. გამოყენებით მოღებული მოგების შეღავათიანი დაბეგვრა;
5. დამწყებ ინოვაციურ კომპანიებში ინვესტიციების გადასახადისაგან განთავისუფლება, მაგალითად დიდ ბრიტანეთში დამწყებ ინოვაციურ კომპანიებში ჩადებული დაუბეგრავი ინვესტიციის ოდენობა 150 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს;
6. ინოვაციურ კომპანიებზე ან უმაღლესი სკოლის ორგანიზაციებზე მოწყობილობა-დანადგარების უსასყიდლო გადაცემის შემთხვევაში, გადაცებმის დასაბეგრი მოგების შემცირება ამ მოწყობილობა-დანადგარების ღირებულებით;
7. ინოვაციური დაფინანსებასთან დაკავშირებული ფონდების ანგარიშზე შეტანის გამოკლება დონორის დასაბეგრი მოგებიდან და სხვა

მცირე საწარმოების კვლევითი სამუშაოების მხარდაჭერა. ევროკავშირში მსს კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად შეუძლია მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა რგოროც საერთოევროპულ სამეცნიერ-ტექნიკურ პროგრამებში, ასევე ეროვნულ პროგრამებშ მონაწილეობით. სახლდობრ, მათთვის ხელმისაწვდომია:

- ✓ კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო პროგრამა, რომელსაც ევროკომისია აფინანსებს, ადგენს პრიორიტეტებს და აწარმოებს პროექტების გადარჩევას;
- ✓ მე-7 ჩარჩო პროგრამის ინიციატივა **EUROSTARTS (ეროსტარტს)**, აფინანსებსლ ¼ ევროკომისია ჩარჩო პროგრამიდან, ხოლო ¾-ს კი მონაწილე ეროვნული

მთავრობები (ამასთან, უკანასკნელი პროექტების გადარჩევაში არ მონაწილეობენ, ამას ევროპული საექსპორტო ჯგუფები აკეთებენ);

- ✓ ეროვნული კვლევითი პროგრამები, ეროვნული დაფინანსებებით, პრიორიტეტებითა და გადარჩევის სისტემით, კონკრეტული ქვეყნის ამოცანების შესაბამისად (მათი ჯამური დაფინანსება მრავალჯერ აღემატება ჩარჩო პროგრამის დაფინანსებას) მიმდინაროებს;
- ✓ რეგიონული განვითარების პროგრამები ძლიერი კვლევითი შემადგენლობით, რომელსაც ერთობლივად აფინანსებენ რეგიონული ადმინისტრაციები, ეროვნული მთავრობები და ევროპული სტრუქტურული ფონები.

საზოგადოებრივი სახსრების ხელმისაწვდომობა მსს-სთვის, გარდა კონკრეტული ინოვაციური ამოცანების გადაწყვეტისა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება. ესაა მსს სექტორში კვლევისა და საკუთარი ხარჯების ზრდის სტიმულირება, რითაც ევროპა ჩამორჩება აშშ-ს და რის გამოსწორების გარეშე ევროპა ვერ მიაღწევს „მშპ-ს 3% კვლევასა და შემუშავებაზე“ მიზანს.

ევროპაში ფუნქციონირებს ევროპული ბიზნეს ინოვაციის ცენტრების ქსელი და ქსელი ევროპული სააწრმო. პირველი მოიცავს 155 ბიზნესის ინოვაციის ცენტრს (ბიზნეს-ინკუბატორები) ევროპის ყველა ქვეყანაში და 75 ასოცირებულ წევრს სხვა ქვეყნებში. მეორე 2008 წლიდან ერთიანებს 70 ინოვაციის გადამცემ ცენტრს (Innovation Relay Centres – IRC) და ევრო ინფო ცენტრების (Euro Info Centres – EICE) - სულ 600 ორგანიზაცია, რომელიც მცირე საწრმოებისთვის უზრუნველყოფს ინფორმაციას ევროგაერთიანებისა და ადგილობრივი შესაძლებლობების შესახებ (პარტნიორები, ტექნოლოგიები, კანონმდებლობა, დაფინანსების წყაროები და სხვა) და უწევს კონსულტირებას ამ ინფორმაციის მათი საჭიროებისთვის გამოყენების თაობაზე. ცხადია, ორივე ქსელის ცენტრები განლაგებულია რეგიონებში და რეგიონული განვითარების მაოცანებს ემსახურება.

მსს მხარდაჭერა რეგიონული კლასტერების[2] განვითარების ჩარჩოებში. ევროპაში რეგიონული საწარმოო-კვლევით კლასტერები იხილება როგორც კონკურენტუნარიანობის, ინოვაციის და რეგიონული განვითარების მთავარი მექანიზმი, რომელიც გაძლიერებას ემსახურება ეროვნული დონის ზომები და ევროპული ინსტრუმენტები, კერძოდ კვლევის მე-7 ჩარჩო პროგრამა, ერთობის ფონდი და კონკურენტუნარიანობისა და ინვოაციის ჩარჩო პროგრამა.

ევროპაში 2000 კლასტერია რეგისტრირებული, ის კლასტერები, რომლებმაც ევროგაერთიანების მხარდამჭერი პროექტები მოიპოვეს, გაერთიანებული არიან კლასტერების ევროპულ ალიანსში. განსაკუთრებული მხარდაჭერა აქვთ იმ კლასტერებს, რომლებიც კონკურენტუნარიანი არიან მსოფლიო ბაზარზე.

კლასტერები შეიძლება ათობით და ასობით საწარმოს მოიცავდნენ, რომელთა უმრავლესობა მსს-ა. კლასტერის მონაწილე მსს, თუ კლასტერს ევროპული ან ადგილობრივი მხარდაჭერა გააჩნია სპეციალური პროექტის სახით, შეუძლია დამატებით (მსს ჩვეულებრივი მხარდამჭერი სქემების მიმართ) დახმარება მიიღოს როგორც გრანტების, ასევე არასაფინანსო (კონსულტაციის და სხვა სახით) სახით. ამგვარად მსს ორმაგ მოგებას ნახულობს - კლასტერის შიგნით კოოპერაციის გზით ეფექტიანობის ზრდას და სპეციალურ დახმარებას.

ევროკავშირი სისტემატურად ეწევა მცირე ბიზნესის აქტის შესრულების მონიტორინგს, როგორც ლისაბონის სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტის შესრულებას ყურადღებით აკვირდება. დაკვირვების (მონიტორინგის) ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს მსს საქმიანობის მიმოხილვა, რომელიც საწარმოების გენერალურმა დირექტორმა 2008 წლიდან შემოიღო. იგი შედგება წლიური ევროპული მსს შესახებ მოხსენებისგან. ქვეყნების მიხედვით მომზადებული წლიური ანგარიშებისაგან, რომლებსაც მცირე ბიზნესის ფაქტების ფურცლები ეწოდებათ და

[2] კლასტერი ურთიერთდაკავშირებული და გეოგრაფიულად ახლომდებარე საწარმოთა ჯგუფია, რომელიც ერთობლივად იყენებს სპეციალიზირებულ ინფრასტრუქტურას, მუშახელის ბაზრის და მომსახურებას. კომპანიების, მიმწოდებლების, მომსახურების ფირმებისა და კვლევითი ინსტიტუტების კონცენტრაცია კლასტერში სწრაფად ზრდის მონაწილეთა პროდუქტიულობას.

დამატებითი სპეციალური, უფრო ღრმა გამოკვლევებისაგან[3]. შეფასება ხდება ათი მიმართულებით, რომელიც მცირე ბიზნესის აქტშია დეკლარირებული.

2.2 ინოვაციური მცირე ბიზნესი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში

XX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XXI საუკუნის დასაწყისში ბევრი განვითარებული ქვეყნის ენონომიკურ განვითარებაში განჩნდა ახალი ტენდეციები. ეფექტური ხდება ფულის დაბანდება ბიზნესის არატრადიციულ სფეროებში, მაგალითად, მატერიალურ აქტივებში, არამედ კრეატიულ და ინოვაციურ ბიზნეს იდეებში, რომელთა წყალობითაც ფირმას შეუძლია კონკრეტული უპირატესობის მოპოვება, გლობალური პროცესების ნაალიზი აჩვენებს, რომ ინოვაციები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კონკურენტუნაირიანი პროდუქტების წარმოების პროცესში. გამომდინარე აქედან თუ დღემდე კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორად მდიდარი ბუნებრივი რესურსები ითვლეობდა, ამჟამად მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებად მიჩნეულია ასმეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, თანამედროვე ტექნოლოგიები, კომუნიკაციის საშალებები, ინოვაციური კულტურის განვითარება და სხვა. ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება ტექნოლოგიური პროგრესი, რომელსაც მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, წარმოების რპოცესში ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლასთან, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან და ა.შ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციები წარმოადგენს კონკურენციაშ გამარჯვების მძლავრ იარაღს, მაგრამ მან თანამედროვე ეტაპზე გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა შეიძნა. იგი არის ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრის საშუალება, როგორიცაა ეკოლოგიასთან, სიღარიბესთან და სურსათით მომარეგებასა და უვნებლობასთან დაკავშირებული

[3] ეს მასალები, ისევე, როგორც მათი შედგენის მეთოდოლოგია და გამოყენებული იდნიკატორები, მკითხველს შეუძლია ნახოს ევროკომისიის საწარმოთა გენერალური დირექტორატის ვებ-საიტზე. The SME Perfomance Review; The Report on European SMEs; SBA Facts Sheets. (http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/performance%20review/index_en.htm)

პრობლემები. ეკონომიკის მეცნიერებაში ინოვაციების მრავალ ფორმას განიხილავენ, რომელთა კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნების მიხედვით შეიძლება:

საქმიანობის სფეროების მიხედვით - პროდუქტიული, ტექნოლოგიური და მმართველობით ორგანიზაციული ინოვაციები, რომლებიც იმავდროულად უნოვაციათა ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ;

სიახლის სიღრმის მიხედვით - რადიკალური, გაუმჯობესებული და ფსევდოინოვაციები;

სიახლის მასშტაბის მიხედვით - მსოფლიო მნიშვნელობის დარგობრივი ინოვაციები, ქვეყნის არეალის დარგობრივი ინოვაციები და ფირმის მასშტაბის ინოვაციები;

ფირმის მასშტაბების მიხედვით - ლოკალური, სისტემური და სტრატეგიული.

განვითარებული ქვეყნების ახალ ტექნოლოგიათა დანერგვისა და ინოვაციების განხორციელებისათვის სხვადასხვა გზას მიმართავს, მაგალითად, აშშ-ში სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევები ტარდება არასახელმწიფო ორგანიზაციების კონტრაქტორებისა და გრანების საფუძველზე. ამის შემდეგ ფედერალური მთავრობა სამუშაოთი უზრუნველყოფს საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და ტალანტიან მეცნიერებს. გერმანიაში მაღალი ტექნოლოგიებისს ფეროში ეყრდნობოდნენ აშშ-ს გამოცდილებას და ახორციელებდნენ სამეცნიერო-საწარმოო პროექტებსა და პროგრამებს, ასევე იყენებდნენ იაპონიისა და დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო პარკების გამოცდილებას. თუმცა 1980-იანი წლების დასაწყისიდან პრიორიტეტი ენიჭება რეგიონული ინოვაციური ფონდების ქსელის შექმნას, საიდანაც უკვე აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურ საქმიანობაზე.

აზიურ ქვეყნებშიც ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციისას აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო ინოვაციურ საწარმოებზე. მაგალითად, იაპონიაში საწარმოთა მთლიან რაოდენობაში მათი რიცხვი შეადგენს 99%-ს ხოლო მშპ-ში წილი 52%-ის

ტოლია. ტაივანი მცირე და საშუალო ბიზნესით უზრუნველყოფს დასაქმების 78%0ს და მშპ-ს 45%-ს [კაკულია და ბიბილაშვილი, 2016, 95]

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ სად არის ინოვაციური პროცესი უფრო ეფექტური: მსხვილ კორპორაციებში თუ მცირე ინოვაციურ საწარმოებში. მსხვილი და მცირე ბიზნესის ინოვაციურობის ეფექტიანობის შედარებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ორივეს აქვს თავიანთი უპირატესობები და ნაკლოვანებები. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მსხვილ ბიზნესს აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევებისა და ცოდნის დივერსიფიკაცია, რაც გულისხმობს დასმულ ამოცანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას სხვადასხვა დარგისსპეციალისტთა მწოვევის შესაძლებლობას. ამავე დროს, მსხვილ ბიზნესს ინოვაციურ სფეროში მნიშვნელოვანი მატერიალური, ფინანსური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსების კონცენტრირება შეუძლია. შედეგად, მსხვილ კომპანიებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი რესურსები მართონ კონკრეტულ პროექტებზე, სწრაფად გადავიდნენ მეცნიერებატევადი ინოვაციური პროდუქციის მასიურ წარმოებაზე. მიუხედავად ამისა, მსხვილი კორპორაციები, ეს არის რთული სტრუქტურები მართვის მრავალდონიანი სისტემით, რის გამოც გადაწყვეტილების მიღების პროცედურები ხანგრძლივდება. შედეგად ქვეითდება მართვის მობილურობა, თანამშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, ნელდება ბაზრის ქცევაზე რეაქცია.

მცირე საწარმოები კი - პირიქით, მობილურები არიან, ოპერატიულად რეაგირებენ ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებზე და რადგანაც წარმოების მოცულობა ასეთ საწარმოებში დიდი არ არის, დანაკარგთარისკი, რაც ახლავს ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლას, მნიშვნელოვნად მცირეა მსხვილ საწარმოებთან შედარებით. მირე ბიზნესი ავლენს ბაზრის რთულ პირობებთან სწრაფად ადაპტირების უნარს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტექნოლოგიების სწრაფ სრულყოფა-დანერგვას. ამავდროულად, მცირე ბიზნესს არ შეუძლია სამეცნიერო კვლევისა და ცოდნის კონცენტრირება ერთი

მიმართულებით და კაპიტალტევადი ინოვაციების შემუშავება. ამდენად, მცირე ბიზნესის უპირატესობები მსხვილი ბიზნესისთვის ნაკლოვანებებია და პირიქით, მსხვილი ბიზნესის უპირატესობები მცირე ბიზნესისთვის ნაკლოვანებებს წარმაოდგენს. ემპერული გამოკვლევები ამტკიცებენ მცირე საწარმოებში განხორციელებულ ბევრ ინოვაციათა წარმატებას. დღეისათვის მცირე ინოვაციური საწარმოების უნივერსიტეტებისა და ახალგაზრდამეწარმეების მონაწილეობით ახორციელებენ ტექნოლოგიურ გარღვევებსა და ინოვაციებს, რომლებიც წინ უსწრებენ მსხვილ კორპორაციებში განხორციელებულ ინოვაციებს.

მცირე ინოვაციური საწარმოები წარმოადგენენ ცოდნის მნიშვნელოვან წყაროს: მათი იდეები, პროდუქტები, სტრატეგია, ინოვაციები და ტექნოლოგიები ხშირად შეიძინება და კომერციალიზდება მსხვილი კომპანიების მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილი ბიზნესი დღესაც ასრულებს ინოვაციათა რეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას, მაგრამ მისმა როლმა ინოვაციათა შექმნაში ტრანსფორმაცია განიცადა. დღესაც სამეცნიერო კვლევათა დიდ ნაწილს მსხვილი ბიზნესი ახორციელებს, თუმცა მცირე ბიზნესი ნერგავს ინოვაციათა ნახევარს და რადიკალურ ინვესტიციათა 100%-ს, გარდა ამისა, ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მცირე მეწარმეობაში მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მსხვილში. ეს დაკავშირებულია მცირე ინოვაციური ფირმების რისკისადმი მიდრეკილებასთან, რომელიც რადიკალურ ინოვაციათა რეალიზაციისას წარმოიქმნება და რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ სფეროში ტექნოლოგიურ რღვევას. მსხვილ კომპანიათა უმრავლესობა ორიენტირებულია არა რადიკალურ ინოვაციათა განხორციელებაზე, არამედ არსებულთა ინოვაციურ სრულყოფაზე. ინოვაცია არ არის რაღაც დამოუკიდებელი ქმედება. მის განხორციელებას ემსახურება საბაზრო მექანიზმი და სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა, ქვეყანაში არსებული მთელი ინოვაციური სისტემა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ინოვაციები მეცნიერთა, გამომგონებელთა, მეწარმეთა, ნოვატორთა, სახელმწიფო მოხელეთა დაუღალავი შრომის შედეგია. თუმცა

მამოძრავებელი ძალა არის კონკურენცია და ადამიანთა ლტოლვა უკეთესი მერმისისთვის. [კაკულია და ბიბილაშვილი, 2016, 4]

მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში **ინოვაციური პროცესების ხანგრძლივობა შეადგენს 5-6 წელს**, მაშინ როცა საშუალოდგანვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში იგი უდრის 15-20 წელს. [კაკულია და ბიბილაშვილი, 2016, 6]

განვითარებული ქვეყნებიდან მცირე ბიზნესი, უმეტესად აშშ-ში, ევროპასა და იაპონიაშია განვითარებული. ამ ქვეყნებმა შეიძლება ითქვას აამოქმედეს მცირე ბიზნესის ყველა ის მნიშვნელოვანი დადებითი თვისებები და ჩააყენეს ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამსახურში, რაც ვლინდება შემდეგი მონაცემებით:

ჩატარებული ემპირიული კვლევების შედეგად გამოიკვეთა რომ ინოვაციური საქმიანობა მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა იმ საწარმოებში (ფირმებში) სადაც დაკავებულია 100-ზე ნაკლები ადამიანი, მკვეთრად დაბალი დონეა იქ, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 კაცს. ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო-ფონდის შეფასებით მკსსს-ის ყოველ ერთ დოლარზე ფირმები სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 100 კაცს 4-ჯერ მეტ სიახლეს ნერგავს ვიდრე ფირმები სადაც დასაქმებულია 1000 დან 10 000 ადამიანამდე, და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები სადაც დასაქმებულია 10 000 ადამიანზე მეტი[7] აშშ-ში ახალი ნაწარმის მნიშვნელოვანი შემუშავების 98% ქვეყანაში განხორციელებულია მცირე ბიზნესის მიერ. მაშინ როდესაც მცირე საწარმოები ხარჯავენ 5%-ზე ნაკლებს ქვეყანაში კვლევებსა და დამუშავებაზე გამოყოფილი საშუალებებიდან.[კაკულია და ბიბილაშვილი, 2016,, 11] აშშ-ი მცირე ბიზნესში ორჯერ მეტი სამუშაო ადგილები იქმნება ვიდრე საშუალო და მსხვილ ბიზნესში, ორჯერ მეტად ინერგება ახალი ნაწარმი.[კაკულია და ბიბილაშვილი, 2016 6]

დანახარჯების ეფექტიანობა სკსსს მცირე ინოვაციურ ფირმებში აშშ-ში 4-ჯერ მეტია ვიდრე მმსხვილ კორპორაციებში. გარდა ამისა მცირე ინოვაციური ბიზნესი ქმნის ინოვაციებს 1 დასაქმებულზე 2,5-ჯერ მეტს და ნერგავს მათ ერთი წლით ადრე, ვიდრე

ანვითგმსხვილი ბიზნესი. ყოველივე ამის შედეგია ის რომ აშშ-ს მთლიან შიდა პროდუქციაში მცირე ბიზნესზე მოდის 60- 70 %-ზე მეტი.

განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებმა გაიაზრეს რა ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების აუცილებლობა, მნიშვნელოვან სახსრებს აბანდებენ მკსსს-ში. მაგალითად ამერიკა გამოგონებასა და დანერგვაზე წელიწადში ხარჯავს $280 მილიარდს, იაპონია- $100 მილიარდს, ევროკავშირის ძირითადი ქვეყნები კი-$50 — $60 მილიარდს, ჩინეთმა ეს დანახარჯები 1995-დან 2002 წლამდე 4-ჯერ გაზარდა $18-დან $72 მილიარდამდე, ხოლო 2010 წელს გამოყო $220 მილიარდი.

გერმანიაში მცირე ინოვაციური ფირმები ხარჯავენ „მკსსს“-ში დაახლოებით თავიანთი ბრუნვის 6.1%-ს. [კაკულია და ბიბილაშვილი, 2016]

დღეისათვის ევროკავშირში 23 მლნ. საწარმო ახორციელებს საქმიანობას, რაც საწარმოთა საერთო რაოდენობის 99%-ია. მცირე საწარმოების მიერ შექმნილია 90 მილიონი სამუშაო ადგილი, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 67%-ს წარმოადგენს [კაკულია და ბიბილაშვილი, 2016,]

იაპონიაში კი გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში მკსსს-ის შემსრულებელ მცირე და საშუალო ფირმების წილი უდრიდა 22%-ს; ახლო წარსულში კი შეადგენდა 38%-ს. ამ მხრივ გაწეული რესურსების ხარჯები კი 75%-ით ნაკლებია, მსხვილ საწარმოსთან შედარებით.

კანადაში, ინგლისში და გერმანიაში მცირე ბიზნესის წილად მოდის ქვეყნის მთლიანი წარმოების 60-70%.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რიგი ქვეყნის მცირე საწარმოები მონაწილეობას ღებულობს პროდუქციის ექსპორტზე. საკმაოდ მაღალია ექსპორტის აქტივობის მაჩვენებელი. ასე მაგალითადგერმანიის და ნიდერლანდების მთლიანი ექსპორტის წილად მცირე ბიზნესზე მოდის შესაბამისად 40-40%, იტალიაში - 25%.

ახალი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საფუძველზე მაღალტექნოლოგიური პროდუქტის წარმოება და მსოფლიო ბაზარზე მისი გატანა დასავლეთ ევროპის

მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის, აშშ-ის, იაპონიის და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოებისთვის ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელსტრატეგიულ მიმართულებად გადაიქცა. კეძოდ, ევროკავშირის ქვეყნების სტრატეგია ინოვაციური საქმიანობის სფეროშ შემდეგ ძირითად მიმართულებებს მოიცავს:

- ევროკავშირის ყველა ქვეყნისათვის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც აკუმულირებულია საწარმოს შექმნისთვის აუცილებელი პროცედურების კომპლექსი;
- მეცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერა, მათ მიერ დამუშავებული ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და გამოშვებული პროდუქტის უკანონო კოპირებისგან სამართლებრივი დაცვის მიმართულებით;
- მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური მხარდაჭერის მქანიზმების შექმნა, პაცინტების მომზადების, რეგისტრაციისა და დანერგვის ხელშეწყობა;
- საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების მექანიზმის სრულყოფა, ინვოციების კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
- ინოვაციური პროდუქტის დამამუშავებელი და გამომშვები საწარმოებისთვის წამახალისებელი საგადასახადო რეჟიმის შემოღება;
- სამეწარმეო განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა.

ამჟამად, სმოფლიოში ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება ინფორმაციული, გარემოსდაცვითი, სამეცნიერო ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, ენერგიის ალტერნატიულ წყაროებთან დაკავშირებული ტექნოლოგიები და ზოგიერთი სხვა.

თავი 3. ევროკავშირთან ასოცირება: საქართველოს გამოწვევები და შედეგები (მიღწევები) ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებაში

3.1 საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარება მცირე ბიზნესისათვის ასორიცების ხელშეკრულების კონტექსტში

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდა, 1992 წლიდანვე იწყება. ამ ურთიერთობებში სრულად ახალი ეტაპი იწყება, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ძალაში შესვლის შემდგომ, 2014 წლის 1 სექტემბრიდან. ეს იყო ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილი (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშიებული საკითხები), რომელიც დაჩქარებული წესით იქნა მიღებული. თვითონ ასოცირება სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს.

ასოცირების დღის წესრიგით საქართველომ იკისრა ვალდებულება, განახორციელოს სხვადასხვა რეფორმა ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. იგი მოიცავს ეკონომიკის განვითარების ყველა სფეროს. ასოცირების შეთანხმებაში სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია მცირე და საშუალო ბიზნესზე. ამ მიმართულებით მხარეების თანამშრომლობა გამოწერილია მუხლებში 311; 314 და 315-ში.

დღეს ევროკავშირი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მცირე ინოვაციურ საწარმოებზე და ეკონომიკაში ინოვაციური პოლიტიკის გატარებაზე. ამდენად **EaP**[4] და ასოცირების შესახებ შეთანხმებისაგან გამომდინარე საქართველოში, განსაკუთრებით 2014 წლიდან გაძლიერდა ქმედებები ბიზნესის/ინოვაციური მცირე ბიზნესის ბიზნესგარემოს ფორმირებისა და განვითარებისათვის. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-

[4] აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა (EaP) 2008 წელს შეიქმნა და მიზნად 6 პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ბელარუსის ევროინტეგრაციის ხელშეწყობას ისახავს.

ერთი პრიორიტეტია, რაც ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020 (ივნისი, 2014) აგრეთვე, სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი დემოკრატიული ერთიანი საქართველოსთვის“ (რომელიც პერიოდულად ახლდება).[5]

2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი გავნითარების სამინისტროში შეიქმნა სსიპ - **„აწარმოე საქართველოში“**, რომელიც სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობაზე ორიენტირებული, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განმახორციელებელი პირველი სახელწიფო უწყებაა, მისი მისიაა - კერძო სექტორის მიერ მართული და ექსპოტზე მიმართული ეკონომიკის შექმნა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით[6] პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: 1) ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, 2) უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა, 3) ტექნიკური დახმარება.

აწარმოე საქართველოში - ინვესტიცია „აწარმოე საქართველოში-ინვესტიცის“ მუმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მოდეატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.

აწარმოე საქართველოში - ექსპორტი „აწარმოე საქართველოში - ექსპორტის“ მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

---

[5] https://www.Enterprisegeorgia.gov.ge

[6] საქართველოს მთავრობის დადგენილება №365, 2014 წლის 30 მაისი. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

2016 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა **„საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020“.** სტრატეგია ეფუძნება „ევროპული მცირე ბიზნესის აქტს“ და მის ძირითად პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First)[7]. სტრატეგიის მთავარი მიზანი არის მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობს გაძლიერება, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს ინკუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. სტრატეგიაში დასახულია მიზნები, რომელთა მიღწევა უნდა მოხდეს 2020 წლისათვის. სტრატეგიაზე დაყრდნობით მუშავდება სამოქმედო გეგმები ხდება მისი შესრულების მონიტორინგი ყოველწლიურად. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ყოველწლიური ანგარიშს აქვეყნებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებებია:

სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა.

2014 წლის ივნისში მიღებული იქნა სტრატეგია - დიკუმენტი „ინოვაციური საქართველო 2020“[8]. „ინოვაციური საქართველო 2020“ არის დოკუმენტი,რომელიც ემსახურება ინოვაციების სფეროშ სახელმწიფოს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებასა და კონკრეტული ამოცანების დასახვას, ეფექტური ინოვაციების ეკოსისტემისა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნას, რაც განაპირობებს საქართველოს

[7] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, თბ. გვ 5
[8] Https://www.facebook.com/GITA.gov.ge/posts/

ეკონომიკურ წინსვლას. ინოვაციური შესაძლებლობების განვითარება მნიშვნელოვანია გლობალურ ეკონომიკაში ადგილის დასამკვიდრებლად და ინოვაციების ეკოსისტემის შესაქმნელად. ინოვაციური კლიმატის არსებობა ხელს უწყობს სამუშაო ადგილების ზრდას, მომავლის პროფესიების ფორმირებას, მცირე და საშუალო საწარმოების გავნითარებას, ქართულ ბაზარზე კონკურენტული ეროვნული პროდუქტების გამოჩენასა და მათ ექსპორტს, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროს მასშტაბების ზრდასა და ზოგადად, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნას. სააგენტო ცდილობს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში გავიდეს მსოფლიო მასშტაბებზე და ხელი შეუწყოს ქვეყანას სწრაფ პროგრესში, განავითაროს განათლების სფერო კონკრეტული მიმართულებები. ინოვაციები განსაკუთრებით მნშვნელოვანია სახელმწიფოსათვის, რადგან იგი ინსტრუმენტია მომავლის პროფესიების შესაქმნელად, შემოსავლების ზრდისათვის, ახალი და ფართო საინვესტიციო შესაძლებლობების წარმოსაჩენად.[9]

2016 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა **„კანონი ინოვაციების შესახებ“** რომლის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით[10]. ამ კანონით არის განსაზღვრული საქართველოს მთავრობასთან შექმნილი „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს“ ფუნქციები; აქვეა განსაზღვრულ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ამოცანები. კანონით ნებადართულია ინოვაციური საქმიანობის

[9] Https://www.facebook.com/GITA.gov.ge/posts/

[10] საქართველოს „კანონი ინოვაციების შესახებ“ თ. 2016 გვ. 1-6

ხელშესაწყობად სახელმწიფო ორგანომ ან სხვა პირმა შექმნას შემდეგი ინფრასტრუქტურა: ა) სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი; ბ) ბიზნესინკუბატორი; გ) ბიზნესამაჩქარებელი; დ) ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი; ე) სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორია (ILab); ვ) ინოვაციების ცენტრი; ზ) სხვა ინფსრასტრუქტურა (მუხლი 6).

კვლევებისა და ინოვაციების საბჭო[11]**,** როგორც მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის პლატფორმა, დაარსდა 2015 წელს. საბჭოს თავჯდომარეა პრემიერმინისტრი, ხოლო საბჭოს წევრები არიან მინისტრები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და მეცნიერები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 2017 წელს შეიქმნა სსიპ **„საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო“ (GITA).** რამდენიმე მიზნით, მათ შორისაა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების, შესაბამისი ეკოსისტემის მოწყობა, რომელიც მონდომებულ ადამიანებს საკუთარი ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზებაში შეუწყობდა ხელს. ამასთან ორგანიზაციის სურვილი თავიდანვე იყო ამ მიდგომის ყველა დარგში დანერგვა და ადგილობრივი ინოვაციური პროდუქტების საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება. სააგენტო მოიცავს ლაბორატორიებს, ერთობლივი მუშაობის სივრცეებს, ტრენინგ ცენტრებს, ბიზნეს ინკუბატორს აქსელერატორსა და საკონფერენციო სივრცეს.

ENPARD (სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამა) საქართველოს DCFTA-ს ფარგლებში არსებული აქვს ვალდებულება იზრუნოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020. იგი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მცირე ფერმერთა გაძლიერებითა და წარმოების ზრდის ხელშეწყობით. სოფლის მეურნეობის

[11] 2015 წლის 3 თებერვალი საქართველოს მთავრობის დადგენილება №32 კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

განვითარების დახმარების კუთხით, ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ევროკავშირის მთავარ პოლიტიკის ინსტრუმენტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) წარმოადგენს.

STARTUP GEOGRIA (სტარტაპ საქართველო) სტარტაპები თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში დამწყებ მეწარმეებთან ასოცირდება, რომლებიც ოცნებობენ მიაღწიონ ბიზნესში დიდ მასშტაბებს, არიან ინოვატორები, ანტრეპრენიორები. საქართველოს ეკონომიკას კი სწორედ ასეთი სტარტაპები სჭირდება, რომელიც ეკონომიკას გახდის ინოვაციურს ამით ხელს უწყობს ეკონომიკის გაზრდას.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2016 წლის ივნისიდან, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩერული საინვესტიციო პროგრამა - **„სტარტაპ საქართველო“.** სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე,შესაბამისი განათლების ხელშეწყობას.

პროქტის კოორდინატორები არიან „საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტოს დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი ინოვაციურ პროექტებზე. მთლიანად პროგრამისთვის პირველ ეტაპზე გამოიყო 11 მლნ ლარი, რაც შემდეგ 35 მლნ ლარამდე გაიზარდა. მაღალტექნოლოგიური პროექტების შემთხვევაში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ერთობლივ საწარმოში პარტნიორად რჩება არა უმეტეს 7 წლის ვადით და არ ერევა სტარტაპის მმართველობაში. ინოვაციურმა და ტექნოლოგიურმა გამარჯვებულმა სტარტაპებმა მიიღეს დაფინანსება და პირადი ქონებით უზრუნველყოფისა და გირაოს გარეშე. უზრუნველყოფა შემოიფარგლა მხოლოდ პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტივებით. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

უზრუნველყოფს ტრენინგებს, ქოუჩინგს, მენტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის. ვენჩერული საინვესტიციო პროექტი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისთვის, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს როგორებიცაა: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევრადგამტარები და ტელეკომუნიკაცია[12].

2016 წლის იანვრის თვიდან საქართველოში, თბილისში, გაიხსნა პირველი **ტექნოპარკი.** ტექნოპარკი წარმოადგენს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პროექტს, რომელიც ორიენტირებულია საქართველოში ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკოსისტემის შექმნაზე. ტექნოპარკი, ინფრასტრუქტურის მეშვეობით, ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესის ჩასახვასა და ზრდას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზრებზე. აერთიანებს რა ინტელექტუალურ რესურსსა და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, ტექნოპარკი წარმაოდგენს ინვოაციებზე ორიენტირებული სტარტაპ ეკოსისტემის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს. იგი აერთიანებს ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ასევე საოფისე, საერთო-სამუშაო და რეკრეაციულ სივრცეებს. პარკი უზრუნველყოფს წვდომას ტრენინგ-ცენტრებსა და შოურუმებზე. აღიარებული მენტორების მეშვეობით საერთაშორისო გამოცდილებასთან და ცოდნასთან წვდომის უზრყნველყოფით, ერთობლიობაში ტექნოპარკი წარმოადგენს ადგილს სადაც კომფორტული გარემოა შექმნილი იდეის განსახორციელებლად.

საქართველოს ტექნოპარკის ტერიტორიაზე მუშაობს მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგ-ცენტრები და შოუ-რუმები, სააგენტომ შექმნა

[12] https://www.economy.ge

მაღალტექნოლოგიური ინკუბატორი, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია, საერთო სამუშაო სივრცე (co-working), საკონფერენციო დარგაზი და სხვა სერვისები, რომლებიც ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებას.

ბიზნეს კონსალტინგი: ინოვაციების სააგენტომ ტექნოპარკში განათავსა საკონსულტაციო კომპანიების - „საქპატენტი“, დელოიტი“, „მართვის აკადემია“, ოფისები, რომლებიც სტარტაპებს მომსახურებას უწევენ სხვადასხვა მიმართულებით: **„საქპატენტი“** - უზრუნველყოფს სტარტაპების კონსულტაციებს საკუთრების დაცვაში; **„დელოტი“** - ინოვატორებს ეხმარება ფინანსური საკითხების დაგეგმვასა და სამუშაო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში; **მართვის აკადემია** - სტარტაპებს კონსულტაციას უწევს მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულბით; **მენტორთა ქსელი** - ინოვაციების სააგენტომ შექმნა მენტორთა ქსელი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის გამოცდილ, კვალიფიციურ პროფესიონალებს. მენტორები ყოველთვიურად უზიარებენ გამოცდილებას, დამწყები, ინოვაციური ბიზნესების წარმომადგენლებს. მენტორთა ქსელის ეფექტურად მუშაობის მიზნით სააგენტომ სპეციალურად შექმნა გვერდი: https://gita.gov.ge/mentors/index/html სადაც განთავსებულია მენტორების საკონტაკტო ინფორმაცია. ვებ-გვერდის საშუალებით, ერთის მხრივ სტარტაპებს შეუძლიათ აირჩიონ მენტორი, რომელთანაც კონსულტაციის გავლის სურვილი აქვთ, ხოლო მეორე ხმრივ, დარგის პროფესიონალებსა და გამოცდილ ადამიანებს შეუძლიათ, მენტორთა ქსელში დარეგისტრირდნენ და თავისი ცოდნა და გამოცდილება ინოვატორებს გაუზიარონ.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ **გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული ტექნოლოგიურ, საგანმანათლებლო და პროფესიონალურ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის მიმართულებით:**

ფაბლაბი (FabLab) საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს სტარტაპებს სთავაზობს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ქსელს - ფაბლაბი.

ფაბლაბი არის უნიკალური სივრცე ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომელსაც აქვს იდეა, სურს მისი განხოციელება ან სტარტაპ ბიზნესად ჩამოყალიბება. ფაბლაბი ყველას აძლევს საშუალებას, უფასოდ ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ის მორგებულია ნებისმიერ მომხმარებელზე და ხელს უწყობს იდეების გენერირებას. ამ სივრცეში ხდება ახალი წამოწყებების სრულყოფა და აალგაზრდა ინვოატორების იდეების რეალიზება. ფაბლაბის მიზანია, მსოფლიოს შესთავაზოს ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობის უნიკალური მოდელი. მისი განვითარება მნიშვნელოვანია ახალი სტარტაპ ბიზნესების ჩამოსაყალიბებლად.

არსებული ფაბლაბები, როგორც თბილისის, ისე რეგიონების მასშტაბით აღჭურვილია ზუსტად იმ აპარატურული ციკლით, რომლის ანალოგები მასაჩუსეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში - MIT - შია.

2018 წელს ქვეყნის მასშტაბით 22 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაა (ფაბლაბი, ტექნოლოგიური პარკი) გახსნილი[13].

საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროკავშირის და სხვა განვითარებული ქვეყნების მიერ, EaP-ს და ასოცირების შეთანხმების ფარგლებში მოქმედებს „ევროკავშირი ბიზნესისთვის“. ეს არის ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის ყველა პროგრამას, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის და კერძო სექტორის განვითარების კუთხით, განსაკუთრებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობების გათვალისწინებით. ევროკავშირი საქართვლოს უხსნის 500 მილიონიან ბაზარს, EU4BUSINESS ევროკავშირის ინიციატივაა, რომელიც დახმარებას უწევს SME-ებს აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონის ექვს ქვეყანაში მათი სრული პოტენციალის რეალიზაციისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით.

[13] https://www.economy.ge

მცირე და საშუალო მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის რეფორმირების მხარდაჭერას ეწევიან: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD);

EU5BUSINESS – EBRD Credit Line. ეს არის საკრედიტო ხაზი, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის და ხელშესაწყობად არის განკუთვნილი. ძირითადი აქცენტი საქართველოში წარმოებული პროდუქტის ევროსტანდარტების შესაბამისობაში მოყვანაზე კეთდება. EU4BUSINESS-EBRD Credit Line. ამ ხაზით საქართველოში ევროკავშირიდან, გრანტის სახითმ დაახლოებით 50 მლნ ევროს შემოდინება ხდება, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო (S&M) ზომის ბიზნესების ფინანსურ და ტექნიკურ გაძლიერებაზე. თითოეული პროექტისთვის საგრანტო მხარდაჭერა 10-15% მერყეობს, ხოლო მაქსიმალური სესხის ოდენობა 3 მლნ ევროა. ამ ეტაპზე ამ პროექტის ფინანსურ პარტნიორად საქართველოს ბანკი სახელდება, რომელიც პოტენციურ ბენეფიციარებს ორწლიან საშეღავათოპერიოდს სთავაზობს ძირ თანხაზე და ბიზნეს სესხის ნომინალური განაკვეთი 10-12%-ია.

საქართველოში მიმდინარე ეტაპზე განხორციელებული საკრედიტო-საგრანტო რეფორმა გულისხმობს, რომ კომერციულ ბანკს აღარ აქვს უფლება გასცეს სესხის გარანტიის გარეშე. ეს ნაბიჯი, შეიძლება ჩაითვალოს, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად, რადგან დღეს საქართველოში არ არის დანერგილი მცირე ბიზნესის სესხის გაცემის საგარანტიო თავდებობის სრულყოფილი პრაკტიკა.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის ივლისიდან მცირე ბიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები იქნა შემოღებული:

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებები შევიდა, რომელიც მცირე მეწარმეებისთვის დასაბეგრი შემოსავლის 5-ჯერ, 1%-მდე შემცირება გამოიწვია გარდა ამისა, ზღვარი, რომლის მიხედვით, პირი მცირე მეწარმედ შეიძლება, ჩაითვალოს 5-ჯერ გაიზარდა, 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე.

საქართველოში ევროკავშირთან ინტეგრირების თანამედროვე ეტაპზე, ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ფორმირებისს ფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად აღნიშნული ღონისძიებები რასაკვირველია ჯერ-ჯერობით სრულად ვერ გადაჭრის პრობლემას, ჯერ კდიევ გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ ცხადია რაც არის გაკეთებული მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების რთული გზის დასაწყებად.

3.2 ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების არსებული მდგომარეობა (შედეგები) ინვოაციური მცირე ბიზნესის განვითარებაში

ნაშრომის მესამე თავის პირველ პარაგრაფში გადმოცემულია იმ ინსტიტუტების განხილვა, რომელიც კი იქნა ჩამოყალიბებული 2014 წლიდან დღემდე, საქათველოში. მცირე ინოვაციური ბიზნეს გარემოს ფორმირებისათვის. როგორც საკითხის შესწავლიდან ვლინდება მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ეკონომიკაში ინოვაციურობის ურთულეს გზაზე.

პროგრამა **„სტარტაპ საქართველო“** პროგრამის მონაწილე შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე პირი ან პირთა ჯგუფი, ვისაც აქვს სიახლეზე ორიენტირებული, პერსპექტიული და მდგრადი ბიზნეს წინადადება და მისი განხორციელებისთვის ესაჭიროება საწყისი დაფინანსება.

საპარტნიორო ფონდის მიეც სპეციალურად შექმნილი შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“ თითოეულ დაფინანსებულ ბენეფიციართან ერთად შექმნის ახალ კომპანიას (სტარტაპს), რომელშიც ფონდი კაპიტალის სახით შეიტანს 15 000 ლარიდან 100 000 ლარამდე. ამ მოდელით, პროგრამის ბენეფიციარს თანამონაწილეობის სახით მხოლოდ პროექტის ჯამური ღირებულების მინიმუმ 10%-ის ოდენობის თანხის შეტანა მოუწევს, ხოლო მისი ბიზნეს იდეა ავტომატურად შეფასდება, როგორც ერთობლივი კომპანიის კაპიტალში სულ მცირე 40%-იან შენატანი. შესაბამისად მხოლოდ 10%-ანი თანხობრივი თანამონაწილოების პირობებში პროგრამის ბენეფიციარი ხდება 50%-ანი ან მეტი წილის მფლობელი ახალ კომპანიაში. ამასთან,

შემდგომში ბენეფიციარს მიეცემა შესაძლებლობა გამოისყიდოს ფონდის წილი ერთობლივ კომპანიაში შეღავათიანი პირობებით ან მოიძიოს სხვა ინვესტორები.

უნიკალური ინოვაციური იდეის შემთხვევაში საქართველოს ინვოაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო მაქსიმუმ 100 000 ლარის ოდენობით დააფინანსებს მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპს, რაც მოიცავს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, კომპიუტერულ ინჟინერიას, კომპიუტერულ მეცნიერებას ტელეკომუნიკასიას და სხვა მიმართულებებს. ასეთ დროს ბენეფიციარს აღარ მოეთხოვება პროექტის თანადაფინანსება და მისი წილი კომპანიაში 95% იქნება. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ხელს შეუწყობს ასეთი მაღალტექნოლოგიური პროექტების მსოფლიო ბაზარზე გატანას, ამასთან დაეხმარება წარმატებულ კომპანიებს შემდგომი დაფინანსების მოსაპოვებლად და გასავითარებლად აწარმოონ აქტიური კომუნიკაცია ინვესტორებთან და დაინტერესებულ პირებთან. გარდა ამისა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ტრენინგებს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის.

„სტარტაპ საქართველომ“ სამ წელიწადში ინოვაციური კომპონენტის ფარგლებში 3.1 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა; - „სტარტაპ საქართველოს“ ინოვაციური კომპონებტის ფარგლებში არაერთი მასშტაბური პროექტი არის დაფინანსებული. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანზე მონაცემებს, მაგალითად: ერთ-ერთია კომპანია „Wehost“-ი, რომელიც წარმოადგენს პირველ Airbnb მენეჯმენტს კომპანიას საქართველოში. ტურისტული ნაკადის სწრაფი ზრდის ფონზე პროექტი ორიენტირებულია მაღალი სტანდარტების მასპინძლობის სერვისის შექმნაზე და ამავდროულად, მორგებულია იმ მოქალაქეების ინტერესებზე, რომლებსაც ტურისტების მომსახურებით სურთ მიიღონ შემოსავალი. კომპანიამ უმასპინძლა 4 900სტუმარს, ხოლო მართვაში აღებული აქვს 70 ბინაზე მეტი. კომპანიამ დაასაქმა 40-ზე მეტი ადამიანი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტის საინვესტიციო ღირებულება 71 000 ლარია, საიდანაც სტარტაპ საქართველოს თანადაფინანსება 60 000 ლარს შეადგენს.

კიდევ ერთი წარმატებული სტარტაპი, რომელიც „სტარტაპ საქართველოს“ გამარჯვებული პროექტია არის „ღვინის ჩაი“ - დღეს უკვე პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ტურისტულ ობიექტებში და პრემიუმ კლასის კაფე-ბარებში. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ქვეყნებთან. მათ შორის, ნიმუშები გაგზავნილია აშშ-ში და ღვინის ჩაის მალე ამერიკულ ბაზარზეც ვიხილავთ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბენეფიციარებს „სტარტაპ საქართველოს“ მიერ გამოყოფილი ინვესტიციის ათვისება აღარ დასჭრიდათ, ვინაიდან პროგრამაში გამარჯვების შემდეგ კერძო სექტორის მიერ მოხდა აღნიშნულ პროექტში ინვესტივიის განხორციელება. ასეთი მრავალი კერძო მაგალითების მოყვანა შეიძლება.

EU4Business-EBRD საკრედიტო ხაზი არის რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) და ევროკავშირის ერთობლივი ინიციატივა, რომელიც შექმნილია საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. სამივე ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას და ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცით სარგებლობას.

EU4Business-EBRD საკრედიტო ხაზის ინიციატივა ხელს უწყობს დაინტერესებულ კომპანიებს მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ ევროკავშირის, მსოფლიოს უმსხვილესი სავაჭრო ბლოკი, მათი პროდუქციისა და მომსახურების ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად მოდენრიზების გზით. ადგილოვრივი პარტნიორი ბანკების მეშვეობით EBRD სთავაზობს 380 მილიონამდე ევროს ოდენობით საკრედიტო ხაზებსა და ვაჭრობის დაფინანსებას. ამას ავსებს ევროკავშირის დაფინანსება 19 მილიონ ევროზე მეტი ოდენობით EU4Business-EBRD ინიციატივის ფარგლებში, 15%-მდე საინვესტიციო წახალისებისა და ტექნიკური დახმარებისთვის. საქართველოში, EBRD და ევროკავშირი თანამშრომლობს თიბისი ბანკთან და საქართველოს ბანკთან.

ENPARD-ის ფარგლებში ევროკავშირის დახმარება შემდეგ ძირითად სოფლის მეურნეობას ითვალისწინებს

2014-2022 წლებისთვის, ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 179.5 მილიონი ევროა, რომელიც განაწილებულია შემდეგ ფაზებად:I ფაზა - 52 მლნ ევრო, 2014-2017; II ფაზა - 50 მლნ ევრო, 2016-2019 III ფაზა - 77.5 მლნ ევრო, 2018-2022[14].

პროგრამის მიზნებს წარმოადგენს: სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება; მცირე ფერმერთა თანამშრომლობის გაძლიერება; მცირე ფერმერების ქმედითუნარიანობის ამაღლება; სოფლად დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებული შედეგებიდან, აღსანიშნავია შემდეგი:

შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია; გადამზადდა სოფლის მეურნეობაში ჩართული კადრები; საქართველოს მასშტაბით გაიხსნა 59 საკონსულტაციო ცენტრი; შეიქმნა საერთაშორისო დონის ლაბორატორიები; მიღებულ იქნა კანონი კოოპერატივების შესახებ.

2016 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი, რომელიც ამ ქვეყნების მიერ ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასებას გულისხმობს. ინდექსის თანახმად, 2016 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, საქართველო რეგიონში საუკეთესოა. ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული წინსვლა აღინიშნა ბიზნესის ინფრასტრუქტურის, დაფინანსების ხელმისაწვდომობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერის გაუქმებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით. [მცირე და საშუალო საწარმოები, ევროკავშირის გამოცდილება და ქართული რეალობა; ევროპული ბიზნეს ასოციაცია Mariam.kuchuloria@eba.ge]

OECD ანგარიშში დადებითად ფასდება საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შექმნა, თუმცა ნათქვამია ასე, რომ საჭიროა მათი

[14] https://www.enpard.ge

შესაძლებლობების გავნითარების ღონისძიებების განხორციელება, რათა მათი პოტენციალი მაქსიმუმამდე გაიზარდოს.

საკითხის შესწავლიდან ვლინდება, რომ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო დღეისათვის დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა უფასო მომსახურებას სთავაზობს. სააგენტო ტექნოპარკთან ერთად მოიცავს როგორც მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ისე დიდ ოფისებს კომპანიებისთვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს. პარკის ტერიტორიაზე მუშაობს მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგ-ცენტრები და შოუ-რუმები, სააგენტომ შექმნა მაღალტექნოლოგიური ინკუბატორი, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია, საერთო სამუშაო სივრცე (co-working), საკონფერენციო დარბაზი და სხვა სერვისები, რომლებიც ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებას.

2019 წლის 19 თებერვალს გამქოვეყნდა[15] კვლევა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შედეგების ეფექტიანობის შესახებ. კვლევა ჩაატარა „აწარმოე საქართველოში“ დაკვეთით კომპანიამ „ბიდიო“-მ[16]. კვლევა მოიცავდა 2014-2018 წლების. კვლევისათვის შერჩეულია 100 ისეთი ბენეფიციარი, რომელიც პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ ჩართულია მინიმუმ 2 წელი.

„ბიდიოს“-ს ანგარიშის მიხედვით ზემოხსენებული 100 ბენეფიციარი კომპანიიდან, კვლევაში ნებაყოფლობით მონაწილეობა მიიღო 85-მა საწარმომ, რომელთაგან 30 სტარტაპია, ხოლო 55 კი არსებული საწარმო, რომლებიც, პროგრამაში ჩართვის შედეგად გადაიარაღდნენ და გაფართოვდნენ. ჯამურად 100 ბენეფიციარის ბიზნესის სტატუსი შემდეგია: 61 გაფართოება, 39 სტარტაპი.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა, რომ 100 კომპანიის მიერ შექმნილი მშპ - 2014-2018 წლებში შეადგენდა 164 მილიონ ლარზე მეტს, საიდანაც 54%

[15] http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/ -7

[16] შპს „ბიდიო“ არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული კომპანიის - „ბიდიო ინტერნეიშენალ ლიმიტედი“ წევრია და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. შპს „ბიდიო“ ტენდერის წესით შიერჩა.

შექმნილია არსებული საწარმოების გაფართების, ხოლო 46% - სტარტაპების მიერ. მშპ-ის რეგიონალური ანალიზი, უჩვენებს რომ დაახლოებით 79% შექმნილია თბილისში წარმოდგენილი ბენეფიციარების მიერ, რადგან ვკევის ფარგლებში გამოკითხულთა კომპანიების 60% სწორედ თბილისში მდებარეობს. ბენეფიციარების მიერ **მიღებული შემოსავლები** - კვლევაში მონაწილე 85 ბენეფიციარის მიეც მიღებული მთლიანი შემოსავლის 2014-2018 წლებში **390 მლნ** ლარია.

ინვესტიციები - პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარების მიერ, 2014-2018 წლებში, მიღებული სესხების, სხვა სესხებისა და კაპიტალში შენატანები **247 მლნ** ლარზე მეტია. შესაბამის პერიოდში ქვეყნის მთლიან შიდა ინვესტიციებთან მიმართებით მისი წილი დაახლოებით 0.38%-ს შეადგენს.

დასაქმებულთა რაოდენობა - პროგრამაში „აწარმოე საქართველოში" ბენეფიციარების ჩართვის შემდეგ, თანამშრომელთა რაოდენობის წმინდა ზრდამ 3 033 კაცი, ბენეფიციარების მიერ მათთვს გადახდილმა მთლიანმა სახელფასო ფონდმა კი, საშემოსავლო გადასახადის გარეშე, **25.6 მლნ** ლარი შეადგინა.

ბენეფიციარის მიეც **გადახდილი გადასახადები** - პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარების მიერ გადახდილი გადასახადები აჭარბებს **42.5 მლნ** ლარს, 2014-2017 წლების პერიოდისთვის და ქვეყნის მასშტაბით ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების 0.13%-ს შეადგენს

ექსპორტი - კვლევის შედეგების თანახმად, ასევე, დაფიქსირებულია წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ზრდა. გამოკითხული კომპანიებიდან, პროგრამაში ჩართვამდე, ექსპორტზე პროდუქცია მხოლოდ ერთ კომპანიას გაჰქონდა და ექსპორტის ღირებულება 1,7 მილიონი ლარი იყო. დღეის მოდგომარეობით, უკვე 85 კომპანიიდან 28 ექსპორტიორია. 2014-2018 წლებში აღნიშნული ბენეფიციარების საექსპორტო გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა 309 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

კონკურენტუნარიანობა - პროგრამის დახმარებით, ბენეფიციარებმა გააუმჯობესეს წარმოების მასშტაბები, ხარისხი, წარმეობული პროდუქციის მრავალფეროვნება და ცდილობენ კონკურენცია გაუწიონ იმპორტს.

ინოვაციური ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის ტრენინგების უზრუნველსაყოფად, თბილისის ტექნოპარკში მიმდინარე პროექტის - ბიზნეს ინკუბატორის ფარგლებში, ტარდება ტრენინგები.

პროგრამა **აწარმოე საქართველოში - ივესტიცია** საკმაოდ პოლულარული გახდა. 2015 წლისთვის განხორციელდა 133 პროქტი, მოსალოდნელმა ჯამურმა ინვესტიციამ შეადგინა 355.6 მლნ ლარი და შეიქმნა 6 759 ახალი სამუშაო ადგილი. EY Georgia-სთან თანამშრომლობით 20 კომპანიისთვის განხორციელდა ბიზნეს ადმინისტრირების მონი პროგრამა, ექსპოტის მენეჯერთა კურსი, სააგენტომ ხელი შეუწყო ქართული კომპანიების ჩართვას პროგრამაში „fir for partnership with Germany" და სხვა[17]. 2016 წლისათვის განხორციელებული ინვესტიცია წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 385 მლნ ლარი შეადგინა, გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც და 15 ათასს გადააჭარბა[18]. 2017 წლის შედეგებით კი განხორციელდა 323 პროქტი, მთლიანმა ინვესტიციამ შეადგინა 786 მლნ ლარი და შეიქმნა 13 ათასი ახალი სამუშაო ადგილი[19]. აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობა შესაძლებელია დადებითად შევაფასოთ, რადგან 3 წლის მანძილზე დაახლოებით 30 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. თუმცა, პროგრამასაც გააჩნია რიგი ხარვეზები, მაგალითად ბიუროკრატიის მაღალი დონე, რაც დაკავშირებულია სესხისა თუ სხვადასხვა სახის ნებართვების მიღებასთან, ბუნდოვანია რამდენად ხდება პროგრამის მონიტორინგი განხორციელება და ფასდება ეფექტიანობა.

საქართველოს ინოვაციური საქმიანობის განხორციელების გარკვეული პოტენციური შესაძლებლობები აქვს. დღევანდელ პირობებში, როცა მსოფლიო

[17] წლიური ანგარიში2015, მეწარმეობის გავნითარების სააგენტო
[18] წლიური ანგარიში2016, მეწარმეობის გავნითარების სააგენტო
[19] წლიური ანგარიში2017, მეწარმეობის გავნითარების სააგენტო

ეკონომიკის სულ უფრო მეტი სექტორი ხდება მაღალტექნოლოგიური, ქვეყნის განვითარება უკვე შეუძლებელია მხოლოდ „ტრადიციულ“ დარგებზე ორიენტაცით ქვეყანას მომავალში განვითარების იმედს უკარგავს. მაგალითად, საქართველოში ყოველწლიურად ჩამოსული ტურისტების რაოდენობამ მოსახლეობის სამმაგ ოდენობასაც რომ მიაღწიოს, ამ სექტორის წვლილი ერთ სულზე შემოსავალში იქნება დაახლოებით 3 ათასი აშშ დოლარი წელიწადში, ანუ მდიდარი ქვეყნისთვის დამახასიათებელი მაჩვენებლის 10%-ზე ნაკლები. ასეთ შეფასებებს სხვა დარგების მიმართაც თუ ჩავატარებთ, აღმოვაჩენთ, რომ საქართველოზე, როგორც მდიდარ ქვეყანაზე საუბრის საფუძველი ნამდვილად ვერ გვექნება, თუ საინოვაციო მიდგომებს არ განვავითარებთ. [შატბერაშვილი, გვ 19]

საქართველოს **ინოვაციებისადა ტექნოლოგიების სააგენტო,** რომელიც მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. ამასთან ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საგენტოში (სემდგომში სააგენტო) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისთვის აუცილებელი პროექტებისა და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების წარმართვა და კოორდინირება.

საქართველოში სააგენტოს მიერ შექმნილია 22 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (ტექნოლოგიური პარკი), სადაც დიდ და მცირე კომპანიებს შეუძლიათ ერთობლივად მუშაობა. კრეატიულ და საინჟინრო ინდუსტრიის წარმომადგენლებს. მსგავსი ეკოსისტემა მისცემს საშალებას, უფრო მაღალი ღირებულებისა და გლობალურ ბაზარზე გათვლილი საინტერესო პროექტების ინიცირება (ინოვაციები) განახორციელონ. საქართველოში, ეკონომიკის დღევანდელი დონიდან გამომდინარე, უნოვაციური განვითარება ვერ განხორციელდება უპირატესად საკუთარი კვლევების კომერციალუზაციის ხარჯზე. საქართველოში იგი განხორციელდება უპირატესად ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაკტიკის იმპორტის გზით (არაკვლევითი ინოვაცია).

დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ტექნოლოგიების გავრცელებას ქვეყნის შიგნით (დიფუზიას) და ამ პროცესის დაჩქარებას. ხელი შეუწყოს როგორც საკუთარი ტექნოლოგიების შემუშავებასა და ათვისებას, ასევე მათ იმპორტს, ადაპტირებასა და დიფუზიის დაჩქარებას. სამივე ამ კომპონენტში უნივერსი- ტეტების, კვლევითი ორგანიზაციებისა და კვლევითი მომსახურების ორგანიზაციების როლი ძალიან მაღალია. ამიტომ, მიზანი უნდა იყოს, ამ ორგანიზაციების (ისევე როგორც საწარმოების) ჩართვა ინოვაციის პროცესში. წარმატებული პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში, საკუთარი (ეროვნული) კვლევები გაძლიერდება (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში) და კვლევითი ინოვაციების წილი ამაღლდება. [შატბერაშვილი, ქოჩორაძე, ცანაშვილი გვ 6]

უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები ჩართულია ქვეყნის განვითარებაზე მსჯელობის დღის წესრიგში. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ „საქართველოს სოციალურეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში“ მოცემულია ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების დონის ასამაღლებლად განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები. აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ინოვაციის მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს: „შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, რეგიონული განვითარების სააგენტოები და საინოვაციო ცენტრები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას, კვლევისა და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას უმაღლესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კვლევითი ლაბორატორიებისთვის, უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციას. უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში ამოქმედდება კვლევითი საქმიანობის შედეგების მონიტორინგის ერთიანი სისტემა და შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების მოდელები“. [საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია გვ.42] 2020

წლისთვის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგად მიიჩნევა: „კომპანიების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერი და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებსა და ბიზნესს შორის კავშირის გამყარება, ინოვაციების დამაკმაყოფილებელი დონის არსებობა, ამის შედეგად ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებზე ორიენტაცია“. [საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია გვ. 44]

კვლევებისა და ინოვაციების კუთხით მნიშვნელოვანია ის, რომ, 2016 წლიდან საქართველო ჩაერთო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების წამყვან პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“, რომელიც აძლევს მკვლევარებს და ნოვატორებს საქართველოდან და მათ პარტნიორებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან პროგრამაში თანაბარი პირობებით მონაწილეობის საშუალებას.

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ჩვენი ქვეყნის ინოვაციურობის მაჩვენებელი არასახარბიელოა. GCI-ის რეიტინგის მიხედვით, 2014-15 წლებში საქართველოს 121-ე პოზიცია უკავია ინოვაციების მიხედვით. არახელსაყრელი მდგომარეობა გვაქვს ისეთ კომპონენტებში, როგორიცაა: ინოვაციური შესაძლებლობები (110), სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი (119), კომპანიის ხარჯი კვლევასა და განვითარებაზე (126), მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა (122), ინდუსტრიული ინსტიტუტების მონაწილეობა კვლევა-განვითარებაში (128), პატენტებით სარგებლობა (65).

კონკურენტუნარიანობის ინდექსი (CI), რომელსაც განსაზღვარვს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს[20]. 2017-2018 წლის მიხედვით საქართველოს 137 ქვეყანას შორის კონკურენტუნარიანობის კუთხით 67

[20] https://www.economy.ge

ადგილი უჭირავს, წინა წელთან შედარებით 8 პოზიციითაა დაქვეითებული, რაც შეეხება მჩვენებლების მიხდვით მონაცმებს მოცემულია პირველ ცხრილში

ცხრილი 3.2.1

კონკურენტუნარიანობის ინდექსი (CI) 2017 2018

მაჩვენებელი	რეიტინგი
ინსტიტუციები	50
ინფრასტრუქტურა	69
მაკროეკონომიკური გარემო	48
ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება	69
უმაღლესი განათლება და ტრენინგები	87
საქონლის ბაზრის ეფექტიანობა	53
ფინანსური ბაზრების განვითარება	63
ტექნოლოგიური მზაობა	70
ბაზრის ზომა	100
ბიზნესის დახვეწა	99
ინოვაციები	118

ყველაზე ცუდი შედეგი არის ინოვაციებში, 137 ქვეყანას შორის საქართველოს 118 ადგილი უკავია. ეს იმას ნიშნავს, რომ ინოვაციების მიმართულებით კდიევ ბევრია გასაკეთებელი.

ქვეყანაში ინოვაციის და ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აუცილებელია სტატისტიკური მასალების არსებობა ამ სფეროში მიღწეულ შედეგებზე, მისი წვდომა ნებისმიერი მოქალაქისთვის, რაც უნდა უზრუნველყოს სტატისკტიკის დეპარტამენტმა. ამ მიმართულებით დაევალა სტატისტიკის დეპარტამენტს განეცხორიელებინა სამუშაოები. 2016 წლიდან სტატისტიკის დეპარტამენტი აქვყენებს ანალიზს საწარმოს ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ინოვაციები პროდუქციაში (საქონელი/მომსახურება) 2013-2015 წლების მიხედვით საქონლის წარმოების სფეროში განხორციელებულმა ინოვაციებმა (ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი) შეადგინა 48.8%, ხოლო მომსახურების (ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება) სშფეროში 51.2%.

2016-2017 წლებში საწარმოების ან დაწესებულებების[21] მიერ ინოვაციები საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროში ასეთია: ინვოაციებმა საქონლის წარმოებაში შეადგინა: უშუალოდ წარმოების მიერ განხორციელებულმა - 59.1% და 54.3%; საწარმოს მიერ სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებთან ერთად - 12.6% და 15.7%; საწარმომ განახორციელა სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული საქონლის ადაპტირება-მოდიფიცირება - 11.0% და 13.9%; სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ 17.2% და 16.1%. მოცემული დაჯგუფებების მიხედვით მომსახურების ინოვაციებმა შეადგინა შესაბამისად: 54.4% და 41.0%; 16.9% და 20.1%; 14.2% და 19.8%; 12.5% და 19.1%[22]. როგორც მონაცემებიდან ჩანს თვით საწარმოების მიერ განხორციელებული ინოვაციების რაოდენობა 2017 წელს შემცირდა თითქმის 5%-ით (4.8%) 2016 თან მიმართებაში.

2016 წელს განხორციელებული ინოვაციების 48.2% ახალი იყო საწარმოებისათვის, ხოლო 51.8% - სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის (მომსახურებისთვის).

[21] დაწესებულების ქვეშ იგულისხმება - უნივერსიტეტები, კვლევა-შემმუშავებელი დაწესებულებები, არამომგებიანი ორგანიზაციები და ა.შ.
[22] მონაცემები აღებულია geostat.ge - დან

დასკვნა

„მცირე ბიზნეს ქარტია“ და „მცირე ბიზნესის აქტი“ (შემდგომში აქტი) ევროკავშირის და მისი პარტნიორი არაწევრი ქვეყნებისათვის წარმოადგენს არა კანონს არამედ სამოქმედო პროგრამას. აქ გაწერილი სამოქმედო გეგმის განხორციელებაში საქართველოს დიდ დახმარებას უწევს ევროკავშირი, „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა“ (**EaP**), - ეს უკანასკნელი იმავდროულად ატარებს აქტის მიხედვით გაწერილი სამუშაოების შესრულების შეფასებას.

„მცირე ბიზნესის აქტი“-ა **EaP**[23] და ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებიდან გამომდინარე საქართველოში, განსაკუთრებით 2014 წლიდან გაძლიერდა ქმედებები მცირე/ინოვაციური მცირე ბიზნესის ბიზნესგარემოს (ინფრასტრუქტურის) ფორმირებისა და განვითარებისათვის. ჩამოყალიბდა ინსტიტუტები:

2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა სსიპ - **„აწარმოე საქართველოში“,** საქართველოს მთავრობის დადგენილებით[24] პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: 1) ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; 2) უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა; 3) ტექნიკური დახმარება. ამ ინსტიტუტის ფარგლებში ფუნქციონირებს ორი პროგრამა: აწარმოე-ინვესტიციები და აწარმოე-ექსპორტი; 2014 წლის ივნისში მიღებულ იქნა სტრატეგია - დოკუმენტი **„ინოვაციური საქართველო 2020“[25].** „ინოვაციური საქართველო 2020“ არის დოკუმენტი, რომელიც ემსახურება ინოვაციების სფეროში სახელმწიფო ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებასა და კონკრეტული ამოცანების დასახვას, ეფექტური ინოვაციების ეკოსისტემისა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნას, რაც განაპირობებს საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას.

---

[23] აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა (EaP) 2008 წელს შეიქმნა და მიზნად 6 პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ბელარუსიის ევროინტეგრაციის ხელშეწყობას ისახავს

[24] საქართველოს მთავრობის დადგენილება №365, 2014 წლის 30 მაისი. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

[25] https://www.facebook.com/GITA.gov.ge/posts/

2015 წელს მთავრობასთან შეიქმნა „კვლევებისა და ინოვაციების საბჭო“,[26] როგორც მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის პლატფორმა. საბჭოს თავჯდომარეა პრემიერ მინისტრი, ხოლო საბჭოს წევრები არიან მინისტრები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და მეცნიერები.

2016 წელს მიღებულ იქნა **კანონი „ინოვაციების შესახებ“** რომელიც არეგულირებს ინოვაციური ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს; იძლევა ინოვაციებთან დაკავშირებულ რიგ ტერმინთა განმარტებები. ვფიქრობთ აქ უნდა ყოფილიყო მოცემული მცირე ინოვაციური საწარმოს სტატუსის განმარტება; 2016 წლის იანვრის თვიდან საქართველოში, თბილისში, გაიხსნა პირველი **ტექნოპარკი** 2018 წელს ქვეყნის მასშტაბით 22 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაა (ფაბლაბი, ტექნოლოგიური პარკი) გახსნილი[27].

2016 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა **„საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020“.** სტრატეგია ეფუძნება „ევროპული მცირე ბიზნესის აქტს“ და მის ძირითად პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First)[28]. იგი შეიცავს 5 სტრატეგიულ მიმართულებას:

1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;
5. ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

2016 წლის ივნისიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩერული საინვესტიიო პროგრამა - **„სტარტაპ საქართელო“.** სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების

[26] 2015 წლის 3 თებერვალი საქართველოს მთავრობის დადგენილება №32 კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.
[27] https://www.economy.ge
[28] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, გვ. 5

ხელშეწყობას. ამჟამად პროექტის კოორდინატორები არიან „საპატრნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“.

2017 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეიქმნა სსიპ **„საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო“ (GITA).** მცირე და საშუალო მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერას ეწევიან: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

კვლევებისა და ინოვაციების კუთხით მნიშვნელოვანია, ის რომ 2016 წლიდან საქართველო ჩაერთო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების წამყვან პროგრამაში **„ჰორიზონტი 2020“**, რომელიც აძლევს მკვლევარებს და ნოვატორებს საქართველოდან და მათ პარტნიორებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან პროგრამაში თანაბარი პირობებით მონაწილეობის საშუალებას; **EU4BUSINESS** ევროკავშირის ინიციატივაა, რომელიც დახმარებას უწევს SME-ებს აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონს ექვს ქვეყანაში მათი სრული პოტენციალის რეალიზაციისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. ის არის საკრედიტო ხაზი, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის და ხელშესაწყობად არის განკუთვნილი. ძირითადი აქცენტი საქართველოში წარმოებული პროდუქტის ევროსტანდარტების შესაბამისობაში მოყვანაზე კეთდება. EU4BUSINSS-EBRD Credit Line. ამ ხაზით საქართველოში ევროკავშირიდან, გრანტის სახით დაახლოებით 50 მლნ ევროს შემოდინება ხდება, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო (S&M) ზომის ბიზნესების ფინანსურ და ტექნიკურ გაძლიერებაზე. თითოეული პროექტისთვის საგრანტო მხარდაჭერა 10-15% მერყეობს, ხოლო მაქსიმალური სესხის ოდენობა 3მლნ ევროა. ამ ეტაპზე ამ პროექტის ფინანსურ პარტნიორად საქართველოს ბანკი ხორციელდება, რომელიც პოტენციურ ბენეფიციარებს ორწლიან საშეღავათო პერიოდს სთავაზობს ძირ თანხაზე და ბიზნეს სესხის ნომინალური განაკვეთი 10-12თ-ია. გვინდა შევნიშნოთ, რომ სესხებზე განაკვეთი 10-12% მცირე/ინოვაციურ ბიზნესზე

ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში მაღალია საქართველოში მიმდინარე ეტაპზე განხორციელებული **საკრედიტო-საგრანტო** რეფორმა გულისხმობს, რომ კომერციულ ბანკს აღარ აქვს უფლება გასცეს სესხი გარანტიის გარეშე. ეს ნაბიჯი შეიძლება ჩაითვალოს, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვიარების შემაფერხებელ ფაქტორად, რადგან დღეს საქართველოში არ არის დანერგილი მცირე ბიზნესის სესხის გაცემის საგარანტიო თავდებობის სრულყოფილი ინსტიტუტი (პრაკტიკა). ამასთან, საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული მცირე ბიზნესისათვის ფინანსებზე წვდომის სრულყოფილი მექანიზმი

2016 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასების გარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი, ინდექსის თანახმად, 2016 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, საქართველო რეგიონში საუკეთესოა [Mariam.kuchuloria@eba.ge] კარგია, რომ რეგიონულ დონეზე საქართველო ლიდერობს, მაგრამ 2017-2018 წლებში კონკურენტუნარიანობის ინდექსის (CI) მაჩვენებლებს შორის ყველაზე ცუდი ინოვაციების მაჩვენებელია, 137 ქვეყნიდან საქართველოს რეიტინგი უდრის 118 (ე.ი. 118-ე ადგილზეა)

ევროკავშირთან ინტეგრირების თანამედროვე ეტაპზე, ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ფორმირების სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად, კარგია საქართველოში ინსტიტუტების ჩამოყალიბება. თუმცა საჭიროა მათი შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების განხორციელება, რათა მათი პოტენციალი მაქსიმუმამდე გაიზარდოს.

ღონისძიებები რასაკვირველია ჯერ-ჯერობით სრულად ვერ გადაჭრის პრობლემას, ჯერ კიდევ გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ ცხადია რაც არის გაკეთებული მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების რთული გზის დასაწყებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიზე, კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბილისი 2009
2. აბესაძე რ., „ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“ 27-28 ივნისი, 2014 წ;
3. აბრალავა ა. „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები“, თბ. 2014;
4. ვაშაკიძე თამაზი, ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში.
5. კაკულია, ბიბილაშვილი მცირე ბიზნესი: ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორი.
6. კაკულია ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირში.(ინსტიტუტის სამეცნიერო შრომის კრებული ტომი მე-8 გამომცემლობა პაატა გულგუშვოლისეკპონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა)
7. კაკულია, მცირე ბიზნესი: ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორი.(საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია)გამომცემლობა პაატა გულგუშვოლისეკპონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა)
8. ლარისა პატარაია ევროკავშირი ქართული ბიზნენსის მხარდასაჭერად, 22.09. 2016 https://forbes.ge/blog/202/evrokavSiri-qarTuli-biznesis-mxardasaWerad
9. მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევის მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში https://www.google.ge/search?q
10. საქართველო ჰორიზონტი 2020 პროგრამის ასოცირებული ქვეყანაა http://www.mes.gov.ge/content.php?id=6888&lang=geo 27.12.2016 მეცნიერება
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება №32 კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, 2015 წლის 3 თებერვალი
12. საქართველოს მცირე და საშალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. https://www.google.ge/search?q=
13. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020
14. ქვეყნის დახასიათება მცირე ბიზნესის აქტის მიხედვით: საქართველო, მსს პოლიტიკის ინდექსი აღმოსავლეთ პატრნიორობის ქვეყნები 2016 ევროპის მცირე ბიზნესის აქტის გახნორციელების შეფასება.“

https://www.oecd.org/globalrelations/Georgia_GEO%20(2).pdf

15. შატბერაშვილი ო. ქოჩორაძე გ. ცაცანაშვილი მ. „საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკას". აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმა, მეორე სამუშაო ჯგუფი – „ეკონომიკური ინტეგრაცია", თბ. 2013"
16. შატბერაშვილი ოლეგი, EAP და ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები
17. ცეცხლაძე ლ. „მცირე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სტრატეგია თანამდროვე საბაზრო სისტემაში" თბ. 2013.
18. Быковская Е.В. Инновационная деятельность малых предприятий как фактор роста эффективности их функционирования. http://vernadsky.tstu.ru/pdf/2010/04/39.pdf
19. Зарубежный опыт государственной поддержки иновационных малых и средних предприятий https://kfpp.ru/analytics/material/innovation.php
20. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004
21. Мугазович К. Н. Малый бизнес как елемент инновационной среды 2011 г.масква http://uecs.ru/uecs-31-312011/item/518-2011-07-14-10-45-38
22. Муминов Р. Абдираимов И. Малеенова С. Малый инновационный бизнес: факторы устойчивого развития. https://www.google.ge/search?q
23. Муртазин А.С. О РОЛИ МАЛОГО БИЗНЕСА ДЛЯ ФОРМИРОВАНИЯ ИННОВАЦИОННОЙ ЭКОНОМИКИ 2011. https://www.google.ge/search?q
24. Счастливая Н.В. Малый инновационный бизнес в экономиле высокоразвитых стран 2009 http://vestnik.osu.ru/2009_2/8.pdf
25. http://www.economy.ge
26. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/ -7
27. https://www.enpard.ge
28. http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/performance%20review/index_en.htm
29. http://www.geostat.ge
30. Https://www.facebook.com/GITA.gov.ge/posts/